ოთხშაბათი, 1918 წ. გიორგობისთვის 13 № 216
ყოველდღიური ... ღვლიური (?)
ფასი: თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კაპ.

# საქართველო

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო"

**კონტორა**

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მან. უკანასკნელზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15--73

## უკანასკნელი ცნობები

დროებით ზავის ჩამოგდების გამო ყველა ასპარეზზე საომარი მოქმედებანი შესწყდა.

გერმანიაში რევოლუცია ძლიერდება და ფართოვდება.

ბერლინში მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭომ საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადა.

ბერლინში მომხდარ შეტაკების დროს მოიკლა სამი, დაიჭრა ერთი.

ბერლინში ყოველ წუთს მოელიან დროებით ზავის პირობებს.

დრმად დამწუხრებულნი: იაკობი გულას ძე, ევგენი იაკობის ძე, ვერა და პატარა ოთარი გეგეჭკორები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ: პირველის დაუვიწყარ სიდედრის ხოლო დანარჩენთა საყვარელ ბებიასი

**მენიკო კედიასი**

კობახიძის ასულის გარდაცვალებას ქ. ზუგდიდში. 2—2

გულ ჩათუთქულნი ნინო ლევანის ასული, ნატალია ნიკოლოზის ასული, ვლადიმერ და ივანე აბრამის ძენი, ნინო იოროთეს ასული და ნინო ივანეს ასული ნასიძენი ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 9 გიორგობისთვეს სოფ. მაღაროში (სიღნაღის მაზ.), საკუთარ სახლში უდროოდ გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი შვილი, მეორესთვის—უძვირფასი მეუღლე, მესამე და მეოთხესთვის—შეუდარებელი ძმა და უკანასკნელთათვის საყვარელი მაზლი, 79 კურინის პოლკის ყოფილი ოფიცერი

**სერგო (სერიოჟა) აბრამის ძე**

**ნასიძე**

პანაშვიდები ყოველ დღე სოფ. მაღაროში საღამოს 6 საათზედ. დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება 2—1866—2

თამარ აბრამის ასული და ალექსანდრე იოსების ძე გილაშვილები შვილებით ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 9 გიორგობისთვეს სოფ. მაღაროში უდროოთ გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი ძმა, მეორის—უძვირფასესი ცოლის ძმა, 79 კურინის პოლკის ყოფილი ოფიცერი

**სერგო აბრამის ძე**

**ნასიძე**

პანაშვიდები ყოველ დღე სოფ. მაღაროში საღამოს 6 საათზედ. დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება. 2--1868—2

**სახელმწიფო თეატრი**

**ოპერა**

ოთხშაბათს, 13 გიორგობისთვეს მ. ი. ალეშკოს, ტ. ორდას მონაწილეობით და ვ. ა. ბეროზინის მონაწილეობით

**ტოსკა**

ოპერა 3 მოქმედებად.

ფასები საგრძნობლად დაკლებულია.

დასაწყისი საღ. 8 ს. ძველი დროით. ◆ დირიჟორი ხამოსუდი.

ხუთშაბათს, 14 გიორგობისთვეს ა. ა. შულგინის, ბ, ი. ზალიპსკის და ტ. ა. ვორონსკის მონაწილეობით „ვერტერი".

**სახელმწიფო თეატრი**

ორშაბათს, გიორგობისთვის 18-ს—1918 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების ახალი დასი ჰხსნის თავის სეზონს.

წარმოდგენილ იქნება

**სარწმუნოება**

მუსიკალური დრამა 5 მოქმედებად ბრიესი.

პიესა რამდენჯერმე იქმნება წარმოდგენილი სხვა და სხვა ანსამბლით.

მონაწილეობს მთელი დასი.

შემდეგი წარმდგენები: „ღალატი", „ბურუსი", „მსხვერპლი", „ვითა ფოთლები" და სხვა.

რეჟისორი: გ. ჯაბადარი. ◆ ადმინისტრატორი: მიხ. ხერხეულიძე. 2—63—1

ვინც ეტრფიალება
ქართულს ხელოვნებას,
ვინც ეთაყვანება
ჩვენს მეცნიერებას,
ყურად იღებს იგი
ამ ჩვენს მოწოდებას:
ერო! ძლივს ეღირსე
განთავისუფლებას.
ძლივს ხორცი შეესხა
შენს ნატვრა-ოცნებას:
დღეს შენვე განაგებ
შენს ყოფა-ცხოვრებას.

კულტურულ საქმესაც
შენ უნდა მიჰხედო.
მის აღორძინებას
მტლად უნდა დაედო,
ერო! შენი ბედი
შენვე უნდა სჭედო!..
მაშ, შეუწყე ხელი
ქვეყნის აყვავებას,
ბეჩავ შენთა ძეთა
სწავლა განათლებას,
ევროპიულ ცოდნით
აღზრდა-ამაღლებას.

ჩვენც ამ მიზნით ვმართავთ
ამ დიდს ლატარიას;
გვწამს თქვენც დაამშვენებთ
ახალ ისტორიას! (3—3)

## კულტურული შემოქმედებისთვის

მეცხრამეტე საუკუნეში ქართველმა ერმა შექმნა ორიოდე საკულტურო დაწესებულება, რომლითაც ცდილობდა თავისი ეროვნული პიროვნება დაეცვა. ლაპარაკი არ უნდა, ამ დაწესებულებათა შორის პირველი ადგილი წერა-კითხვის საზოგადოებას ეკუთვნის.

და ეს მისი პირველობა გამომდინარეობს არა მარტო მისი მაღალ დანიშნულებისაგან, არამედ იმ საერთო სიყვარულისა და პატივისცემისაგანაც რომლითაც ეს საზოგადოება აღჭურვილ იყო ქართველ ერისგან. წელს ორმოცი წელი შესრულდა, რაც ეს საზოგადოება მოქმედებს და ეს მოხდა სწორედ მაშინ, როცა საქართველო თავისუფალი და დამოუკიდებელია კიდეც.

თუ რომელიმე დაწესებულებას შეუძლია სთქვას, რომ ამ დამოუკიდებლობას ხელი შეუწყო, პირველთაგანი იქნება, რასაკვირველია, ჩვენი საზოგადოება, რომელიც დღიდან დაარსებისა აღვიძებდა ქართველ ერში, კაცობრიულ გრძნობებს, ავრცელებდა ცოდნას და შეგნებას და ამით აღონიერებდა განსაცდელში ჩავარდნილ ქართველ ერს. ძნელია კაცმა აღნუსხოს ყველაფერი, რაც საზოგადოებამ გააკეთა ორმოცი წლის განმაელობაში.

მრავლად გამოცემული სახელმძღვანელოები და სახალხო წიგნები, მრავალი სკოლა, რომელიც საოცარი თავგანწირულებით ებრძოდა უცხოთა ბატონობას, აურაცხელნი სიძველენი, როგორც წიგნები, ისე ნივთები, შეგროვილი ისეთ პირობებში, როცა ჩვენი ბატონები ძარცვავდნენ ეკლესიებს და სხვა დაწესებულებათ, ხშირად პირდაპირ ჰსპობდნენ ისეთ საბუთებს, რომელნიც მათთვის ხელსაყრელი, არ იყო. განსაკუთრებით მიაქციეთ ყურადღება იმ ზნეობრივ გამხნევებას, იმ შეკრებლობით მუშაობას, რომელიც მცირე რიცხოვან ქართველ მოღვაწეთ ძალას აძლევდა იმედით და სიყვარულით განეგრძნოთ თავიანთი მძიმე საქმიანობა.

დღეს, როცა თავისუფლების ხანაში შევედით, ჩვენში თავი იჩინა ერთმა არა სასურველმა მიდრეკილებამ. ყველანი იმის ცდაში არიან, რომ ყოველ გვარი საზოგადოებრივი საქმე სახელმწიფოს თავს მოახვიონ. ეს შეუძლებელია. პირიქით, თუ დღემდის აუტანელ პირობების გამო კერძო ინიციატივას, კერძო მოქმედების გზა დახშული ჰქონდა, დღეს როცა ეს არტახები შემოგვეხსნა, როცა თავისუფალ საზოგადოებრივ შემოქმედების გზა გაეხსნა, კერძო საზოგადოებრივი მუშაობა, კერძო საზოგადოებანი არამც თუ არ უნდა ავიწროებდნენ თავიანთ მოქმედების ფარგალს, არამც თუ არ ცდილობდენ სახელმწიფოზე გადიტანონ ყოველი საზოგადოებრივი ტვირთი, არამედ გაათკეცებული თავდადებით უნდა გააფართოონ თავიანთი მოქმედება. ეხლა თავს ველარავინ გაიმართლებს, ხელს გვიშლიან, გვაწუხებენ, დაგვსჯიანო. ეხლა ყოველგვარ კეთილ საზოგადოებრივ მუშაკისათვის ფართო სარბიელი გახსნილია. შეცდომა იქნება ყოველმა ცოცხალმა ძალამ მხოლოდ პოლიტიკურ მოქმედებით შემოფარგლოს თავისი მუშაობა. თუ ქართველი ერი თავისი დამოუკიდებლობით საერთაშორისო სახელმწიფოთა ოჯახში შედის, როგორც ერთი წევრთაგანი, საჭიროა ის თავისი კულტუროსნობით ღირსეული იყოს ამ ოჯახისა. ამიტომაც დღეს უნდა ამოძრავდეს ყოველი ცოცხალი ძალა, ყოველ კუთხეში და თავისი დაუღალაობით და თავდადებით გაამაგროს ჩვენი თავისუფლება. ამიტომაც არამც თუ არ უნდა ვაკისროთ მთელი სიმძიმე საზოგადოებრივ საქმიანობისა მთავრობას, პირიქით უნდა ვცდილობდეთ შეუმსუბუქოთ მძიმე ტვირთი სახელმწიფოებრივ აღმშენებლობისა, და ვეცადოთ კერძო ინიციატივით, ხელი შეუწყოთ ჩვენი ქვეყნის კულტურულ აყვავებას. თუ ამ გზას ავირჩევთ,—და ეს გზა ერთად ერთი სალი გზაა,—მაშინ ისეთი დაწესებულება, როგორც წერა-კითხვის საზოგადოებაა უნდა გავზარდოთ, გავამრავლოთ მისი განყოფილებანი, გავაცხოველოთ მისი მუშაობა.

დასასრულ არ შემიძლია ორიოდე სიტყვით არ მოვიხსენიო ზემოხსენებულ საზოგადოების მოღვაწენი. დაარსებიდანვე წერა-კითხვის საზოგადოების და მისი განყოფილებების გარშემო თავი მოიყარეს გამოჩენილმა საზოგადო მოღვაწეებმა და ბევრმა ადგილობრივმა ძალებმა, რომელთა თავდაუზოგველი და უანგარო შრომა აცოცხლებდა ამ საზოგადოებას. ბევრი მათგანი ცნობილი მოღვაწენი იყვნენ, როგორც იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძე და სხვები, ბევრნიც დიდი საზოგადოებისთვის უჩინარნი, მხოლოდ თავის ზნეობრივ დაკმაყოფილებასა და ორიოდე მახლობელთა გამხნევებაში ჰპოებდნენ სამოქმედო ძალას.

ამ უკანასკნელ ხუთმეტიოდე წლის განმავლობაში წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას თავმჯდომარეობს ერთი პიროვნება, რომლისადმი პატივისცემა საყოველთაოა განურჩევლად ყოველივე საზოგადოებრივ მიმართულებისა. გიორგი ყაზბეგი ახლად მოვლინებული ვინმე არ არის ჩვენი საზოგადოებისათვის. ჯერ კიდევ ახალგაზდობაში მესამოცდაათე წლებში მან ქართველთა პატარა ჯგუფთან ერთად მიიღო მხურვალე მონაწილეობა ჩვენ საზოგადოებრივ დაწესებულებათა საძირკველის ჩაყრაში, იმ დაწესებულებათა, რომელთა მოქმედებამ დიდი სამსახური გაუწიეს ქართველ ერს. პირად გარემოებათა გამო უცხო ადგილებში გადასროლილი ის ამაყად ატარებდა ქართველ რაინდის სახელს. პირველ დღიდანვე სამშობლოში დაბრუნებისა მან გააცხოველა ჩვენს საზოგადოებაში აქტიური მუშაობა. და იმ განსაცდელის დროს, როცა რეაქციის სუსხი მწვავედ ჰკლაკნიდა დატანჯულ ქართველის არსებას, მან იკისრა მძიმე მოვალეობა წერა-კითხვის სნაზოგადოების თავმჯდომარისა.

შემიძლია ვთქვა, ბევრ საზოგადო მოღვაწეს ვიცნობ, მაგრამ იშვიათად შევხვედრივარ ისეთ მუყაითობას, ზნეობრივ სიმტკიცეს, რომელიც გიორგი ყაზბეგის ჩვეულებრივი თვისებაა. ეს არის ერთნაირი ზნეობრივი ძალა, რომელიც მოგვაგონებთ რესპუბლიკელ საბერძნეთის და რომაელთა პოლიტიკურ მოღვაწეებს. მართალია, დღეს წერა-კითხვის საზოგადოება უკვე სამშვიდობოს გასულია, მართალია ბ. ყაზბეგს ჩვენმა საზოგადოებამ აკისრა მძიმე მუშაობა საქართველოს წითელ ჯვრის თავმჯდომარეობა, მაგრამ მე მაინც ვერ შევრიგებივარ იმ აზრს, რომ შეიძლება წერა-კითხვის საზოგადოებას ჩამოშორდეს ისეთი დიდი ზნეობრივი ძალა, რომელმაც ამ უკანასკნელ ხანში განამტკიცა და გააძლიერა ის.

პ. სურგულაძე.

## პრესსა

**სომხების იმედები ე. გეგეჭკორის დანიშვნის გამო.**

სომხეთის ეროვნული პარტიის მთავარი ორგანო „ჯღოურდი ძაინ" ეხება ე. გეგეჭკორის დანიშვნას საგარეო მინისტრის მოვალეობის აღმასრულებლად და შემდეგს სწერს:

ქართულ მთავრობის შემადგენლობაში შევიდა, როგორც საგარეო საქმეების მინისტრი ს.-დემოკრატების წარმომადგენელი ე. გეგეჭკორი... სომხური საზოგადოება სიხარულით შეხვდება ე. გეგეჭკორის მთავრობაში დაბრუნებას.

ჩვენ შინაურ განწყობილებაში, ეროვნულ ურთიერთობის საკითხში ამიერ-კავკასიაში ახალი მინისტრი არას დროს არ სარგებლობდა მეზობლების მტრობით, არას დროს არ დაყრდნობია ერთმანეთში გადამტერებულ ხალხებს, რომ ამით თავის ერისთვის მიეკერძოებია. ამნაირი მოქცევა, სამწუხაროთ, ძველ პოლიტიკურ მოღვაწეებისთვის ძალიან ჩვეულებრივი იყო, იმათ რიცხვში იყვნენ ისეთიც, რომელთაც თავი მოჰქონდათ სოციალისტებათ და ინტერნაციონალისტებათ ამიერკავკასიაში.

შემდეგ გაზეთი აღუთქვამს ე. გეგეჭკორს ამ ახალ სარბიელზე დახმარებას, ყოველ შემთხვევაში თავის პარტიისას მაინც და ასე ათავებს წერილს:

„ჩვენ მივმართავთ ჟორდანიას მთავრობას და გვინდა, რომ ეს ახალი დანიშვნა იყოს იმის თავდები, რომ არა მარტო საგარეო საქმეებში გამოიცვალოს მთავრობის პოლიტიკა, არამედ ამნაირი გამოცვლა შეეხოს სომხებისადმი განწყობილებას საქართველოს შინაურ საქმეებშიც"...

* * *

„კავკაზსკოე სლოვოს" უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია საგულისხმო წერილი სომხის მგოსნის ოვანეს თუმანიანისა. თავის-თავად ცხადია, რომ ავტორის აზრით, ბორჩალოს მაზრის სამხრეთი სანაპირო უნდა სომხეთს ეკუთვნოდეს; წერილი მხოლოდ იმით განირჩევა „კავკაზსკოე სლოვოს" სხვა ამგვარ წერილებიდან, რომ უფრო „სათნოების" კილოთი ეხება გამწვავებულ საკითხს... ბ-ნი ოვ. თუმანიანი აღნიშნავს „სომხობის გავლენის დამკვიდრებას ლორში, იგონებს, რომ ამ ადგილას ოდესღაც სომხის ჯარიც იდგა და დასძენს:

„...და ამ ხანაში ლორი, როგორც უახლოეს, ასევე შორეულად გაფანტულ სომხის პროვინციებისათვის წარმოადგენდა ერთგვარ საგანმანათლებლო ცენტრს თავასი ახპატისა და სანაინის მონასტრებით, სადაც შეკრებილი იყვნენ შესანიშნავი მეცნიერნი იმ დროისა, იყო უმდიდრესი წიგნთსაცავი და საიდანაც გამოდიოდნენ შესანიშნავი მეცნიერნი, ისტორიკოსები და ორატორები"...

კეთილად განწყობილ ავტორს დაავიწყდა უფრო გაეღრმავებინა ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევანი, რომლიდანაც დარწმუნდებოდა, რომ ეს შესანიშნავი მონასტრები „აღმართული იყვნენ მეფისა ვახტანგ-გორგასლანის მიერ" და სომეხი „მკვლევარნი" იქ მხოლოდ შემდგომ ჩასახლდნენ ქართველ მეფეთა ნებართვით.

არც გასაკვირველია, რომ ოვანეს თუმანიანი „დიდ აღმოჩენის" შემდეგ ასე ლაპარაკობს:

„და, ცხადია, არ უნდა აღიძრას საკითხი ისეთ რაიონების შესახებ, როგორც არის ლორი და ბამბაკი, რომელნიც აროდეს არც ყოფილა და არც იქნება საქართველოს ნაწილი. ამით საკითხი მხოლოდ იხლართება და ფუჭდება ისედაც შერყეული საქმე"...

თუ სომხეთის რესპუბლიკამ თვისი რწმუნებულები გამოგზავნა კონფერენციაზე ამავე აზრებით შეპყრობილნი, არ უნდა ვიქონიოთ იმედი „საერთო ენის" გამონახვისა...

## მთავრობის წრეებში

მთავრობის გიორგობისთვის 9-ის სხდომაზე მოწვეული იქმნა სახელმწიფო კონტროლიორი, რადგანაც განზრახულია წინასწარ კონტროლის შესახებ მოხსენების წარმოდგენა. აგრეთვე ნება მიეცა ყოველ სამინისტროს სხდომაზე მოიყვანოს თავიანთ უწყებათა საგანგებო მცოდნე პირნი ზემოხსენებულ საკითხის გადაჭრაში მონაწილეობის მისაღებად.

გაეხსნას გზათა მინისტრს 10 მილიონიან ფონდიდან 500,000 მან. კრედიტი ტყიბულის მაღაროების მუშების და მოსამსახურეების საბოლოოდ დასაკმაყოფილებლად და ნება მიეცეს გზათა მინისტრს, სამინისტროს ქონების ნაწილი გაყიდოს.

—

დამტკიცებულ იქმნეს თბილის ქალაქის თვითმმართველობის მიერ ეპიდემიურ ავადმყოფობებთან საბრძოლველად შემოსავალზე 2 პროცენტიან გადასახადის სავალდებულო დადგენილებანი.

—

9 გიორგობისთვის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა: ნება მიეცეს ფინანსთა მინისტრს გადასწყვიტოს ქალაქ თბილისის ლომბარდის წესდების შეცვლა იმ აზრით, რომ მასში ჩამატებულ იქმნენ წესები შესახებ კერძო პირთაგან შეტანილებისა („ვკლადი“) ლომბარდის საალებ-მიცემო საშუალებათა შესავსებად.

—

ამავე სხდომაზე მთავრობამ აირჩია კავკასიის ერთა კონფერენციაზე დასასწრებლად შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. ყ. რამიშვილი და მ. პ. გეგეჭკორი.

—

მიენდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განათლების სამინისტროსთან ერთად მოახდინოს ხაშურისა და სურამის საზოგადოებათა შეთანხმება ხაშურის ქალთა გიმნაზიის ხაშურიდან სურამში გადატანის შესახებ.

—

ამავე სხდომაზე მთავრობამ დაადგინა გაეხსნას ფინანსთა მინისტრს 10 მილ. ფონდიდან 9050 მ. სახელმწიფო პალატის სალიკვიდაციოდ.

—

ამავე სხდომაზე მთავრობამ დაადგინა: წინადადება მიეცეს სასკოლო კომისიას, რომ ხელ-ახლა დანიშნონ სხდომა სამღვთო სჯულის სკოლებში სწავლის მოსპობის საკითხის გასარჩევად განათლების მინისტრის თანადასწრებით.

# ქრონიკა

**პოლიტეხნიკუმი.** ტფილისის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის საქართველოს ხაზინის ხარჯზე შენახვა საქართველოს მთავრობამ შეუძლებლად სცნო და ამის გამო განათლების მინისტრს მიანდო მოლაპარაკება გამართოს ტფილისის ქალაქის თვითმმართველობასთან და აგრეთვე აღერბეიჯანისა და სომხეთის მთავრობასთან იმის გამოსარკვევად თუ ხარჯის რა ნაწილს იკისრებენ ესენი ამ პოლიტეხნიკუმის შესანახად.

**უკრაინის ეკლესიის დღესასწაული.** კვირას, 10 გიორგობისთვეს ამიერკავკასიაში უკრაინის უფროსი მღვდლის მ. ორლიკის მოღვაწეობის ათი წლის შესრულების გამო უკრაინის ნიკოლოზის ეკლესიაში ჰსწირა საქართველოს პატრიარქ-კატალიკოზის მოადგილემ ტფილისის მიტროპოლიტმა ლეონიდემ იუბილიარის, საქართველოს მხედრობის უფროსი ღვდლის ა. ტოთიბაძეს, არქიმანდრ. მ. ნაზარისი და უკრაინის და სხ. ქართველ მღვდელთა თანამწირველობით.

**ქუთათელი მიტროპოლიტი.** ქუთათელ ნიტროპოლიტად არქიმანდრიტი ნაზარი აურჩევიათ.

**ძეგვის ხიდი.** ძეგვის ხიდის მუშაობის დასათვალიერებლად გაემგზავრენ სამექანიკო განყ. უფროსი ინჟ. მოძრაობის უფროსი აბელაშვილი და რკინის გზის მილიციის უფროსი ბერძენიშვილი. ბუშინ დილით გავიდა საგანგებო მატარებელი, რომელსაც ხიდზე პირველად გაატარებენ.

**ახალი სომხური გაზეთი.** ამ მოკლე ხანში გამოვა ახალი სომხური გაზეთი; „ნორ-ჰორიზონი“.

**ქურდობა.** 11 გიორგობისთვეს ღამით ბოროტ-განზრახველებმა სვანიძის მაღაზიიდან წაიღეს 150.000 მ. საქონელი.

**ლექცია.** დღეს 13 გიორგობისთვეს, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებაში, ნაძალადევის თეატრში, საღამოს 6-საათზე დანიშნულია მორიგი ლექცია ილ. ნაკაშიძისა: „დასავლეთ ევროპის ხალხის ცხოვრება და მწერლობა“.

**მკვლელობა.** 11 გიორ., საღ. 11 საათზე, 19 თებერვლის ქუჩაზე, მუხრანის მოედანზე ბოროტგამზრახველებმა ასტეხეს სროლა. მილიციონერებმა აღმოაჩინეს ერთერთი მსროლელთაგანი მოკლული.

**კრებები.** დღეს, საღამოს 6 ს. შესდგება სასოფლო კომისიის კრება.

**ყარაიის ახალშენი.** პარასკევს, 15 გიორგობისთვეს შესდგება ყარაიაზში დასახლებულ პირთა კრება. სხვა და სხვა საკითხების გასარჩევად.

**ვ. ჯუღელის დაპატიმრება.** ტუაპსეში დენიკინის ჯარმა დაატუსაღა სახალხო გვარდიის უფროსი ვ. ჯუღელი 5 რაზმელით.

გიორგობისთვის 11-ში ხევიდან ჩამოვიდა მთის კორესპონდენტი ანდრია მამუკას ძე კობაიძე ქ. თბილისში, იგი ოფიციალურათ დაბარებული არის ტელეგრამით ბ-ნ თბილისის გუბერნიის კომისარისაგან საჭირო საქმეების გამო.

**ამიერ-კავ. რესპუბ. წარმომად. კონფერენცია.** 10 გიორ. საგარეო საქმეთა სამინისტროს ბინაზედ უნდა შემდგარიყო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენცია. კონფერენცია არ შესდგა იმის გამო, რომ არ გამოცხადდენ არარატის რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელნი. მთავრობის თავმჯდომარემ დეპეშით მიმართა საქართველოს მთავრობის წარმომადგენელს სომხეთის მთავრობასთან სიმ. მდივანს, რათა მან წინადადება მისცეს სომხეთის მთავრობას 14 ამა თვისთვის აუცილებლად გამოგზავნოს თავისი წარმომადგენელნი.

**ბოლშევიკების მიტინგი.** კვირას, 10 გიორგობისთვეს ესიკოვსკის ცირკში დანიშნული იყო ბოლშევიკების ბელადის მიხა ცხაკაიას ლექცია. ლექცია დიდ მიტინგად გადიქცა და დამსწრე ბოლშევიკებმა მოიწადინეს საპროტესტო მანიფესტაციით გამოსვლა, მაგრამ ღენერალ-გუბერნატორის მაზნიაშვილის ბრძანებით, მიტინგი დაშლილ იქმნა.

**ღვინის ფასი.** ღვინის გამყიდავმა ფირმებმა მაგ. „კავშირთა კავშირი“, კახეთის მევენახეების საზოგადოება „კახეთმა“ და სხვ. ღვინის გაძვირების გამო მიმართეს ქალაქის გამგეობას თხოვნით ან სულ მოისპოს ღვინოზე ნიხრი, ან გამგეობამ გადაათვალიეროს პრეის-კურანტები და ნება მისცეს მათ ფასის გადიდებისა.

**ლოტო.** თბ. კლუბთა კავშირმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის თვითმართველობის წინაშე, რომ ლოტოს თამაშის ნება დართონ იმ პირობით, რომ ამ თამაშს აზარტის ხასიათი არ მიეცეს და წინადადებას იძლევიან შემოსავლის ნაწილი გადაეცეს ქალაქის რამდენიმე საქველმოქმედო საზოგადოებას.

**ქალაქის გამგეობაში.** ქალაქის გამგეობამ საბჭოს ხმოსნებს ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვის ასრულების ბალანსი დაურიგა, რომლიდანაცა სჩანს, რომ რვა თვის განმავლობაში ქალაქის სასარგებლოდ ყოველგვარი გადასახადი სულ 11.500.681 მან. 91 კაპ. შემოსულა. ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად ამ 1918 წელს ქალაქი მოელოდა 27.767.514 მ. 55 კ, შემოსავალს. მაშასადამე წლის დაბოლოვებამდე ქალაქის გამგეობა ელის 16.266.836 მ. და 64 კ. შემოსვლას, რაც რასაკვირველია, ყოვლად შეუძლებელია და ქალაქის ძველ დეფიციტებს რამდენიმე მილიონი მიემატება.

**ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების კრება.** კვირას, გიორგობისთვის 10-ს ძველ ეროვნული საბჭოს ბინაზე ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. რწმუნებულთა კრება მოხდა. კრება გახსნა გენ. ყაზბეგმა, რომლის წერილობით მისალმებას საზოგადოებისადმი კრება ტაშით მიეგება. კრების თავმჯდომარედ აირჩიეს დავ. კარიჭაშვილი.

კრებამ მოისმინა და დაამტკიცა 1916—1917 წ. ხარჯთ-აღრიცხვა და სარევიზიო კომისიის მოხსენება მთავარ გამგეობის მოქმედების შესახებ.

მთავარ გამგეობის არჩევნებში აირჩიეს: ა. ჯაჯანაშვილი, ლ. ბოცვაძე, ნ. ნაკაშიძე, ს. იაშვილი, ა. წულაძე, გიორგობიანი, თ. კიკვაძე, ქ. ნინიძე, ქ. ქავთარაძე, ვ. ბურჯანაძე, დ. კარიჭაშვილი, იპ. ვართაგავა, შ. დედაბრიშვილი.

სარევიზიო კომისიაში ე. ავალიშვილი, დ. დუმბაძე.

საზოგადოებამ ერთხმად გ. ყაზბეგი აირჩია საპატიო წევრად და თავმჯდომარედ, საზოგადოების საპატიო წევრებად: დ. კარიჭაშვილი, რცხილაძე, ლ. ბოცვაძე.

# პროვინციის ქრონიკა

**გარედ-კახეთი.** გარეთ-კახეთის (სართიჭალის ნაწილის) სოფლებს ნორიოს, მარტყოფს, ახალ-სოფელს, ხაშმს, პატარძეულს, საგარეჯოს და სხ. რაღაც გამოურკვეველი ავადმყოფობა მძვინვარებს. მაგ., სოფ. ნორიოში (ქალაქის პირის სოფელია, 15 ვერსზე) ერთს დღეს ათი მიცვალებული დაკრძალეს. არსად ექიმი, არსად დარიგება. ხალხს შიშის ზარი დასცემია და უმეტესად შიშით იხოცებიან. ამას მოჰყვა უზომო ხარჯები ქელეხებში, რაც ნივთიერად აქვეითებს ხალხს.

# ტყეების ჩაბარება

მიწად-მოქმედების ცენტრალ საადგილ-მამულო გამგეობის მიერ გაგზავნილ კომისიებს ჩაუბარებიათ კერძო მესაკუთრეთა ტყეები: 1) თელავის კომისიას 4 გიორგობისთვემდე 13,998 დესეტ., 2) გორის მაზრის პირველ კომისიას 10 გიორგობისთვემდე 28,317 დეს., 3) გორის მაზრის მეორე კომისიას 25 ღვინობისთვემდე 10,646,3 დეს., 4) შორაპნის კომისიას 30 ენკენისთვემდე 9620,0 დეს., 5) თბილისისას 23 ღვინობისთვემდე 13,754,3 დეს., 6) მცხეთა-საგურამოსი 24 ღვინობისთვემდე 8700 დეს., 7) სიღნაღისას 30 ღვინობისთვემდე 2153,9 დეს., 8) მარტყოფისას 21 ღვინობისთვემდე 3136 დეს., 9) ქუთაისისას 10 ენკენისთვემდე 12,306,5 დესეტ., 10) ოზურგეთისას 28 ენკენისთვემდე 12,481,2 დეს., 11) ბორჩალოსას 17 ღვინობისთვემდე 19,157,2 დესეტ., 12) ლანჩხუთისას 24 ღვინობისთვემდე 2087,5 დეს. და 13) სენაკის კომისიას 17 ენკენისთვემდე 30,123,5 დეს.

დღემდე ყველა კომისიებს მიუღიათ კერძო მესაკუთრეთა ტყეები ზომით 166,491,7 დეს.

# რევოლუციის გერმანიაში

## ქარხნების სამხედრო გარნიზონი

ქარხნების სამხედრო გარნიზონებმა მუშებთან ერთად მიატოვეს საქარხნო დაწესებულებანი და ერთად მოქმედებენ.

## შეტაკება

ბრბოს მხოლოდ ერთგან მოუხდა შეტაკება ჯართან, მსროლელ გარნიზონთან, მაგრამ, ამათგან მხოლოდ ორმა ოფიცერმა ისროლა. აქ მოკლულია 3, და დაჭრილია 1. დაწესებულებათა უმეტესობა ადვილად ჩაიგდეს ხელში, მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ ჯარი ხალხის მხარეზე გადავიდა, (დამახინჯებულია) რეიხსტაგში მოვიდა უმავთულო ტელეგრაფის გაფიცული მუშათა პროცესი. მსროლელთა რაზმმა დაიჭირა შესავალი, რომლის წინ ბრბო მოგროვდა.

## შეიდემანის სიტყვა

რეიხსტაგის წევრმა შეიდემანმა შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „იმპერატორი და კრონპრინცი ტახტიდან გადადგნენ. დინასტია დამხობილია. ეს გერმანიის ხალხის ბრწყინვალე გამარჯვებაა. ებერტს დაევალა მთავრობის შედგენა, სადაც შევლენ ყველა სოც.-დემ. პარტიიდან მხოლოდ მთავრობის იმ განკარგულებათ აქვს ძალა, რომელიც ებერტის ხელმოწერილია. სამხედრო მინისტრის მხოლოდ ის განკარგულებანი უნდა ასრულდეს, რომელზედაც სოც.-დემ. კომისარს უწერია ხელი“.

შეიდემანმა მოუწოდა ხალხს წესიერება დაიცვან და გაუგებრობა აიცილონ თავიდან. ავტომობილიდან ილაპარაკეს პარლამენტის წევრებმა და რამდენიმე ჯარის კაცმა. გვარდიის ბატალიონის ოფიცერმა განაცხადა, რომ ოფიცრები ხალხის მხარეზეა. ლაპარაკის დროს ორატორებს ხალხი ტაშს უკრავდა და ოვაციას უმართავდა.

## პრუსიის სამინისტრო.

**გერმანული პრესა.** პრუსიის სამინისტრომ გადასწყვიტა, დაუყოვნებლივ გადადგეს. პრესის ცნობით, პრუსიის სახელმწიფო სამინისტროს ვიცე-პრეზიდენტს ნაციონალ-ლიბერალს ფრიდბერგს დავალებული აქვს ახალი კაბინეტის შედგენა. სამინისტროში, ალბად, შევა ორ-ორი წარმომადგენელი ყველა უმრავლესობის პარტიიდან. მინისტრი სპაინი, ცენტრის პარტიის წევრი და ფიშბეკი, პროგრესიულ სახალხო პარტიის წევრნი, ახალ მთავრობის შემადგენლობაში რჩებიან.

## ბერლინის გაზეთები და დამფუძნებელი კრება.

ბერლინის ნაშუადღევის გაზეთები ბჭობენ პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ, რომელიც შექმნა სოც.-დემ. ულტიმატუმმა, რომელსაც მშვიდობიანი კილო აქვს მაგრამ მაინც კრიტიკულათ ეპყრობა მას. მემარცხენე ლიბერალური გაზეთი „ბერლინერ ტაგებლატი“ ეყრდნობა იმ ფაქტს, რომ სოციალ-დემოკრატიას, თუმცა მას არ მისდევს უმრავლესობა, ჰსურს თავისი სურვილი და ნება დააკანონოს. გაზეთი გამოსთქვამს სურვილს, რომ დაუყოვნებლივ მოწვეულ იქმნას ბრძოლის ველის და სახელმწიფოს მიერ არჩეული დამფუძნებელი კრება, რომელიც გადასწყვეტს იმპერატორის ბედს, მთელ კონსტიტუციის რეფორმაციას და კითხულობს: ამ შემთხვევაში, ჩვენ ხომ არ გვაქვს საქმე იმ შექმნილ პარლამენტარულ სისტემასთან, რომელსაც მხოლოდ ერთი კანონი აქვს, უმრავლესობის ნება-სურვილი? ჩვენ არ გვსურს თვითმპყრობელი, მაგრამ არ გვსურს არც 104 (ამითი გულისხმობს სოც.-დემ. ფრაქციას) და იქ, სადაც არ სწყვეტს უმრავლესობა, არის თვითმპყრობელობა ამათი იმ სახით. მხოლოდ დამფუძნებელ კრებას შეუძლია გამოგვიყვანოს ჩვენ ამ არევ-დარევისაგან და ჩვენი მიზნები განახორციელოს.

## მღელვარება.

სხვა და სხვა ქალაქებიდან მოსულ ცნობების თანახმად სჩანს, რომ მღელვარება იზრდება. შეიარაღებულ მეზღვაურთა და ხელმძღვანელთა დეპუტაცია სხვა და სხვა ადგილებში იგზავნება. სხვა და სხვა ქალაქებში მათ სხვა და სხვანაირად ხვდებიან. „გერმანია“ ირწმუნება, რომ რადიკალური წრეები აღელვების მხრივ ყველაზე უფრო გულციცობას იჩენს, მაგრამ იმავე დროს ცდილობს, სახელმწიფოს თავდაცვის უნარი შეინარჩუნოს.

## ბოლშევიკური საფრთხე.

ბერლინის „ბირჟის გაზეთი“ და აგრეთვე მთელი მემარჯვენე პრესა აფრთხილებს, მეორეს მხრივ, რომ ნაკლებ მნიშვნელობას აძლევენ ბოლშევიკურ საფრთხეს, რომელიც არა თუ „მარტო გერმანიას, არამედ მთელ ევროპას ემუქრება. იმპერიის სხვა დ სხვა ნაწილებიდან მიღებულ ერთნაირ ცნობებიდან ერთი დასკვნა გამომდინარეობს. თუმცა წვრილმანებში ბევრი რამ გაურკვეველია, რომ მთელი მოძრაობა რუსეთიდან მომდინარეობს და რომ ამას ხელს უწყობდა საბჭოთა რუსეთის ყოფილი წარმომადგენელი ბერლინში, როგორც თვით ბოლშევიკური მთავრობა მოწმობს, მას ძალების შეძენა შეეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბოლშევიკური იდეები გავრცელდება გერმანიაში და შემდეგ მთელ ევროპაში. მათ იცოდნენ, რომ ბოლშევიკური იდეები გერმანელ ხალხს. მთლიანად ვერ მოაჯადოებდა. სისტემატიურად სცდილობდნენ უკმაყოფილ ელემენტების და ჯარის ერთი ნაწილის გადაბირებას. თუმცა მათ დიდ ნაწილს არ აგებინებდნენ მათ ნამდვილ მიზეზებს.

## მდგომარეობა ბერლინში

ბერლინში აქამდე საერთოდ სიწყნარეს ადმინისტრაციის და ორგანიზაციულათ შეკავშირებულ მუშების მიერ მიღებულ ზომების წყალობით იცავდნენ. სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებანი, რესტორანები დ სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებანი ჩვეულებრივათ მოქმედებენ. მუშაობა არ შეუწყვეტიათ აგრეთვე თეატრებსა და სინემატოგრაფებს.

## რეიხს-კანცლერის გადადგომა

პარლამენტარულ მდგომარეობის გამოცვლის გამო რეიხს-კანცლერი პრინცი მაკს ბადენი თანამდებობიდან გადადგა.

## კოალიციური მთავრობა

გაჩაღებულია მოლაპარაკება კოალიციურ მთავრობის შექმნაზე.

## მთავრობისთვის

სოც.-დემ. პარტიამ წინადადება მისცა დამოუკიდებლებს, შექმნან მთავრობა, რომელშიაც ორივე მხრის წარმომადგენლები შევლენ თანაბრად. ის ამასთანავე ხელმძღვანელობს სურვილით, რომ ასეთ მძიმე დროს თავიდან აცილებულ იქმნეს ყოველგვარი წინააღმდეგობა, რათა გერმანიის განმათავისუფლებელ მოძრაობის დროს ადგილი არა ჰქონდეს ძალმომრეობით გამოსვლებს, რომ მან მიაღწიოს თავის მიზნებს.

## დამოუკიდებელი სოც.-დემოკრატები

დამოუკიდებლებმა მთავრობის წევრთა კანდიდატებად დაასახელეს: ჰააზე, ლიბკნეხტი და ბარტი.

## სოციალისტური რესპუბლიკა

სოც.-დემპარტიის გამგეობა მოლაპა-

# ბრძოლა თუ შეთანხმება?

**სომეხ-ქართველთა კონფლიქტისთვის.**

პირველყოფილ ადამიანს ჰგონია, რომ სიტყვას რაღაც იდუმალი, მისნური გავლენა აქვს მოვლენებზე. ზოგიერთი სიტყვა ან გამოთქმა კეთილისმყოფელია, ზოგიერთი კიდევ უბედურების მომტანი. პოლინეზიელ შავკანიანებში ზოგიერთი სიტყვა მთელი წლობის განმავლობაში „ტაბუთ“ ითვლება, ე. ი. მისი ხმარება სასტიკად აღკრძალულია.

თუმცა ქართველები შავკანიანები არა ვართ და არც პოლინეზიის კუნძულებზე ვცხოვრობთ, მაგრამ სიტყვის ფეტიშიზმისაგან არც ჩვენ ვართ თავისუფალნი. ჩვენც გვაქვს ნაკურთხი და შეჩვენებული გამოთქმები. ჩვენც გვგონია რომ სიტყვების შეწყობით შეიძლება ბედნიერად წაიმართოს მოვლენათა განვითარება. სხვათა შორის ამით აიხსნება რომ ჩვენში ასეთი დაჟინებით სწერენ და ლაპარაკობენ ერთა სოლიდარობაზე. განსაკუთრებით როცა საკითხი ამიერ კავკასიას შეეხება. აუცილებელ ჭეშმარიტებად არის აღიარებული რომ ქართველებსა, სომხებსა და თათრებს შორის იდილიური თანხმობა უნდა დამყარდეს და ამ იდეალის მისაღწევად საჭიროა რაც შეიძლება მეტი ენაწყლიანობა და რაც შეიძლება მეტი მელანი.

ნამდვილად კი ეროვნული ბრძოლა თითქმის არსად არ არის ისე გამწვავებული, როგორც ჩვენში. ეროვნული ინტერესები მძაფრად ეწინააღმდეგებიან ერთი მეორეს ისეთ სფეროებშიც კი, როგორიც, მაგალითად ქალაქის თვითმართველობის არჩევნები, სამუნიციპალო მეურნეობა ან უმაღლეს სასწავლებლის დაარსებაა. უკანასკნელ დღეებში ერობის თათბირმაც ნათლად დაგვანახვა რამდენად ძლიერია ეროვნული შუღლი ამიერ კავკასიაში.

ეს მაგალითები ამტკიცებენ, რომ ლიტონი სიტყვით არ შეიძლება ცხოვრების წინააღმდეგობათა მოსპობა. თანამედროვე ეროვნულ ბრძოლას რამოდენიმე ღრმა საფუძველი აქვს რასიული, კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიური ხასიათისა. არავითარ ქადაგებას, რა გინდ ენამჭევრიც არ უნდა იყოს ის, არ ძალუძს ამ საფუძვლების მოშლა ან გადაფუჩეჩება. ყალბ ქადაგებას მხოლოდ არევ-დარევა და სიბნელე შეაქვს სინამდვილის შეგნებაში. ამის ნიმუშები დღეს ბევრია ჩვენში: ერთი და იგივე ჟურნალისტი ერთს წუთში რომ კომპლიმენტებით და რევანსებით უმასპინძლდება ამა თუ იმ ერის წარმომადგენლებს, მეორე წუთში კბილთა ღრჭენით და თვალთა ბრიალით ეგებება მათ. ეს გარემოება სხვათა შორის იმითაც აიხსნება, რომ ჩვენში პოლიტიკური შეგნება ჯერ კიდევ ძლიერ სუსტია და უმეტეს შემთხვევაში ემოციური მოტივებით ხელმძღვანელობენ. ზოგს განსაკუთრებით სომხები მოსწონს რაიმე მოსაზრების გამო, ზოგს თათრები, ზოგს კიდევ ყოველი კავკასიური ხალხის მდგომარეობა ერთიანად უჩუყებს გულს, ოსებისა და ინგუშებიდან დაწყებული თარაქამებსა და აისორებამდე.

ასეთი „უნივერსალური სიმპატია“ შეიძლება მეტისმეტად ძვირფასი იყოს ეთიურად, მაგრამ მას არაფერი აქვს საერთო სალს პოლიტიკასთან. ეს უკანასკნელი გრძნობებზე კი არ არის დაყრდნობილი, არამედ რეალურ ძალებსა და ინტერესების შეგნებაზე. ინტერესთა სფეროში კი დიდი დისჰარმონია არსებობს კავკასიელ ერთა შორის. შეიძლება კიდევ მეტი ვიდრე სხვაგან სადმე დედამიწის ზურგზე. ამიტომ ფუჭია სრულ სოლიდარობაზე ოცნება.

ესეც კია, რომ საერთაშორისო სოლიდარობა არ შეიძლება ჩაითვალოს უზენაეს იდეალად. ცხოვრების ძირითადი პრინციპი ბრძოლაა და არა სოლიდარობა. დღეს საყოველთაოდ მიღებულია ის შეხედულება, რომ ხანგრძლივი თანხმობის დამყარება შეუძლებელია თვით ერთი და იმავე ეროვნების საზღვრებში. მუდმივი სამოქალაქო ზავი უქმ ოცნებადაა მიჩნეული. თანამედროვე საზოგადოება რამოდენიმე წოდებად და კლასად იყოფება და მათ შორის ცხარე ბრძოლაა გაჩაღებული. ურთიერთ შორის იბრძვიან არა მარტო მოპირდაპირე კლასები და წოდებები, არამედ ერთი და იმავე საზოგადოებრივი ჯგუფის წევრებიც. ეს საყოველთაო ბრძოლა და მეტოქეობა სოციალური განვითარების მამოძრავებელ ძალად ითვლება. ამ ქარტეხილის არსებობას მხოლოდ ისინი უარჰყოფენ ვისაც მოდუნებული აქვს ცხოვრების ენერგია. ვისაც მაგარი ხერხემალი და ჯანსაღი ფილტვები აქვს ყოველთვის ხალისიანად იჭრება ამ სტიქიონში.

მხრამ თუ მამულიშვილებსა და თანამოქალაქეებს შორის წინააღმდეგობა და ბრძოლაა, როგორ შეიძლება რომ სხვადასხვა ერებს შორის მხოლოდ თანხმობა და ძმური ურთიერთობა იყოს? პირველთ ბევრი რამ აქვთ საერთო: ენა, გვარტომობა, ტერიტორია, ზნეჩვეულებები, ისტორიული მოგონებები, „საფლავთა უმოძრაობა და აკვანთა რწევა“, როგორც ჟორესმა სთქვა. ორ მეზობელ ხალხს კი შეიძლება არაფერი ჰქონდეს საერთო არც ეკონომიურ ინტერესთა სფეროში, არც სულიერ კულტურაში. ეს განსაკუთრებით აშკარად სჩანს კავკასიაში. კავკასია გეოგრაფიული ცნებაა და არა კულტურული ან ეთნიური. ეს ქვეყანა ერთს დროს ხალხთა ხიდს წარმოადგენდა ევროპასა და აზიას შორის გადებულს და ამიტომ აქ ურიცხვი პატარა ერები სცხოვრობენ, რომელნიც სხვა და სხვა კულტურულ საფეხურზე სდგანან და წარმოშობითაც მეტის მეტად განსხვავდებიან ურთიერთ შორის. სხვებს რომ თავი დავანებოთ, თვით ქართველებსა, სომხებსა და თათრებს შორის უზარმაზარი განსხვავებაა როგორც რასიული, ისე კულტურული მხრით. ამბობენ რომ ქართველებს და სომხებს წარსულში ერთი და იგივე სულიერი კულტურა გვაერთებდა. როგორც სჩანს ამ პრობლემატიურ კულტურიდან ცოტა რამ შეგვრჩენია, მიტომ რომ დღეს თითქმის აღარაფერი გვაქვს საერთო არც ენასა, არც სარწმუნოებასა, არც ეთნიურ თვისებებში, არც მით უმეტეს სოციალურ წესწყობილებასა, ეთიკასა ან პოლიტიკურს იდეალებში. მონასტრის გუმბათების სტილი კი საკმაო არ არის სულიერი ნათესაობის დასამტკიცებლად.—მაგრამ ესეც კია, რომ სოლიდარობის დასამყარებლად არ კმარა რასიული და კულტურული სიახლოვე: ინტერესთა იგივეობაც არის საჭირო. ეს რომ ასე არ ყოფილიყო თანამედროვე გერმანია ინგლისს შეუკავშირდებოდა და არა ჰუნგრეთს, ბულგარეთს და ოსმალეთს. ინგლისელები და გერმანელები ერთსა და იმავე რასიულ და კულტურულს წრეს ეკუთვნიან, მაგრამ მათი პოლიტიკური და ეკონომიური მისწრაფებანი ერთი მეორეს ეჯახებიან. ოსმალები, ჰუნგრელები და ბულგარელები ბევრით განსხვავდებიან გერმანელებისაგან, მაგრამ ძლიერი ინტერესებით არიან მათთან შეკავშირებულნი.

უცვლელი არაფერია ამ ქვეყანაზე. ეროვნება და მისი ინტერესებიც ევოლუციის კანონს ექვემდებარება. ამიტომ მეზობელ ერთა შეთანხმებას ყოველთვის დროებითი ხასიათი აქვს; ის ადვილად ირღვევა, როცა ინტერესთა წინააღმდეგობა იჩენს თავს. თუ დღეს ქართველობა ერთს მეზობელს უახლოვდება, ადვილად შეიძლება ხვალ მეორეს დაუახლოვდეს. გულუბრყვილობა იქნებოდა მუდმივს მეგობრობაზე ან მუდმივს მტრობაზე ლაპარაკი. წარსულ საუკუნეებში, როცა გადამწყვეტი მნიშვნელობა რელიგიურ მომენტს ჰქონდა, ქართველებსა და აღერბეიჯანელ თათრებს შორის სოლიდარობა კი არა, უნდობლობა, შუღლი და ბრძოლა იყო. მაგრამ დღეს სულ სხვა ეპოქაში ვცხოვრობთ. დღეს უმთავრესი მნიშვნელობა სოციალურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესებს აქვს. ამ სფეროში ჩვენსა და აღერბეიჯანელ თათრებს შორის მეტი თანხმობა აღმოჩნდა, ვიდრე წინააღმდეგობა. თანამედროვე ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების საფუძველს ეროვნული ტერიტორია წარმოადგენს. თათრები საქართველოს ტერიტორიის შესახებ არავითარ პრეტენზიებს არ აცხადებენ, არც ჩვენ ვედავებით მიწა-წყალს. ჩვენ გვსურს ქართველი მაჰმადიანების დაბრუნება სამშობლოს წიაღში. ლაზისტანში, აჭარაში, სამცხეში ეროვნული შეგნების შეტანა და ქართული ენის აღდგენა. თათრები სცნობენ ამ სურვილის კანონიერობას. ჯერჯერობით არც ჩვენი პოლიტიკური იდეალები ეწინააღმდეგებიან ერთი მეორეს, რამდენადაც ისინი გარკვეულნი და გამოთქმულნი არიან. ასეა დღეს. ხვალ შეიძლება ეს მდგომარეობა შეიცვალოს. ჩვენ თათრებთან გვაკავშირებს არა სულის ნათესაობა, ან მეტაფიზიკური სიყვარული, არამედ დღევანდელი მომენტის შეგნება. თუ პირობები შეიცვალნენ, გრძნობათა ალიც ადვილად დაცხრება.

ბევრად უფრო რთული და მრავალმხრივია ჩვენი ურთიერთობა სომხობასთან. შემაერთებელი ძაფი ცოტა-ღა დარჩა ჩვენს შორის, ანტაგონიზმი კი დღითი დღე ძლიერდება და ღრმავდება. უაზრობა იქნებოდა ამის უარყოფა. მაგრამ აქედან, რასაკვირვე-

რაკების გაგრძელების შესახებ იუწყება: „დამოუკიდებლები მოითხოვენ, რომ გერმანია სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდეს. სოც.-დემ. პარტიის მიზანი იგივეა, ხოლო მას სურს ამ საკითხის გადაწყვეტა მიენდოს თვით ხალხს და დამფუძნებელ კრებას. დამოუკიდებელნი მოითხოვენ აგრეთვე, რომ მთავრობის მთელი აღმასრულებელი საკანონმდებლო და იურიდიული ფუნქციები მთელი ხალხისა და ჯარის მიერ არჩეულ სანდო პირებს გადაეცეს. სოც.-დემ. პარტიამ ეს მოთხოვნილება უარჰყო, რადგან იგი ნიშნავს ხალხის ერთი ნაწილის, ერთი კლასის დიქტატურას, რაც ეწინააღმდეგება ძირითად დემოკრატიულ საფუძვლებს. შემდეგი მოთხოვნილება დამოუკიდებლებისა, რომ მთავრობაში არ შევიდნენ ბურჟუაზიულ პარტიის წარმომადგენლები, სოც.-დემ. პარტიამ უარჰყო, რადგან მას სურს არ შესწყდეს მცხოვრებთათვის სურსათის წესიერი მიწოდება. დამოუკიდებლებმა წინადადება წარმოადგინეს, რომ მათი წარმომადგენლები მხოლოდ 3 დღით შევიდნენ მთავრობაში, რათა ამნაირად შეიქმნეს მთავრობა, რომელიც შესძლებს დროებითი ზავის ჩამოგდებას. სოც.-დემ. ამის საპასუხოდ შემდეგი მოთხოვნილება წარმოადგინეს: ყოველ შემთხვევაში ორივე სოციალისტური მიმდინარეობა ერთად უნდა მოქმედებდეს დამფუძნებელ კრების მოწვევამდეო.

### ზავის ჩამოგდება

**ბერლინი.** დროებითი ზავის ჩამოგდების გამო დღეს შუადღისას მთელ ასპარეზზე საომარი მოქმედება შესწყდა.

## ზავი

**დროებით ზავის პირობებისთვის**

ოფიციალურად იუწყებიან, რომ დროებითი ზავის პირობათა გადაცემა დაგვიანდა. შათირი, რომელსაც დავალებული ქონდა გადაეცა დროებითი ზავის პირობები, რომელიც 9 გიორგობისთვეს გაიგზავნა, ეიფელის კოშკიდან რადიოს საშვალებით იუწყება, რომ ვერ შესძლო გადმოსვლა, რადგან გერმანელები სროლას განაგრძობდენ. ამ ცნობას ალბათ... (გამოტოვებული და დამახინჯებულია)... იმ მდგომარეობით, რომ გერმანიის მხარეზე ცეცხლია და აფეთქდა... (გამოტოვებულია), რომელმაც რამოდენიმე აფეთქება გამოიწვია. კურიერმა საჭირო განმარტება მიიღო უმავთულო ტელეგრაფით და ებრძანა დაუყოვნებლივ გადიაროს ბრძოლის ხაზი. დროებითი ზავის პირობებს ბერლინში ყოველ წუთში მოელიან.

### რუს ბოლშევიკთა მოწოდება

**მოსკოვი,** 11 გიორგობისთვე. ც. აღ. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი (გადმობეჭდილია ინგლისურ ენაზე) დასავლეთის ასპარეზზე ყველას, ყველას. გერმანიაში რევოლიუციაა. პრუსიის მილიტარიზმი დაამხო არა იმპერიალისტურ მოკავშირეთა ზარბაზნებმა და ტანკებმა არამედ გერმანიის მუშათა და ჯარისკაცთა აჯანყებამ. იმპერატორ ვილჰელმი გადადგა და გერმანიის ხალხის ტყვეთ არის. ბერლინში ჯარის კაცებმა და მუშებმა იუნკრებს უფლება ჩამოართვეს და დაარსეს მუშათა და ჯ.-კაც. საბჭოები. ყველა დიდ პროვინც. ქალაქებში მუშები და ჯარისკაცები აჯანყდა და ძალა-უფლება ხელში აიღო. გერმანიის ფლოტი რევოლიუციის მხარეზეა და ანძებზე ინტერნაციონალურ სოციალიზმის წითელი დროშები ააფრიალეს. გამბურგის, კილის, ბრემენის, ვილჰელმსგაფენის და კოგსგაფენის ნავთსადგურებში მეზღვაურებმა დაითხოვეს ძველი მმართველები და მეზღვაურთა საბჭოს ხელმძღვანელობით ახალი დისციპლინა შემოიღეს. გერმანიის რევოლუციონურმა ფლოტმა რადიო დეპეშები დაგზავნა, სადაც იუწყება, რომ ის რევოლუციის მომხრეა. რევოლუცია გერმანიის დასავლეთ ფრონტის ჯარშიც გავრცელდა. ჯარისკაცნი ოფიცრებს აღარ ემორჩილებიან. ცნობაა, რომ დაატყვევეს საიმპერატორო მთავრობის სამშვიდობო დელეგაცია. გერმანელმა ჯარის-კაცებმა თვით დაიწყეს ფრანგ ჯ.-კაცებთან ზავზე მოლაპარაკება. ცენტრალურ სახელმწიფოთა იმპერიალიზმი დაემხო. დარჩა მხოლოდ მოკავშირე სახელმწიფოთა იმპერიალიზმი, რომელიც სცდილობს გაბატონდეს მთელ ქვეყანაზე. მოკავშირე სახელმწიფოს ამხანაგო მუშებო და ჯარისკაცნო. ომის გაგრძელებას ახლა მხოლოდ ერთი მიზანი ექნება, სახელდობრ მოკავშირე კაპიტალიზმის გამარჯვების ტრიუმფი და გერმანიის თავისუფლების დამხობა. ომი ასეთ დროში არის განსაკუთრებით ომი ორ კლასს შორის, ომი ინტერნაციონალურ კაპიტალიზმისა და მუშათა შორის. ამ გვარად, ხალხი, რომელიც მხარს უმაგრებს თავის ბურჟუაზიულ მთავრობას, უზრუნველყოფს მათ გამარჯვებას და ხალხზე ბატონობას. მოკავშირეთა ჯარის ამხანაგო ჯარისკაცნო დაუყოვნებლივ უარი სთქვით იმპერიალიზმის სამსხვერპლოს წინაშე საკუთარ თავის მსხვერპლად მიტანაზე, როდესაც ისინი ცდილობენ მუშათა კლასის შევიწროვებას, ნუ გადაიქცევით მათ იარაღად. მომარჯვეთ იარაღი თქვენი ნამდვილი მტრის წინააღმდეგ, რომელიც თქვენ განადგურებას სცდილობს. კაპიტალისტური საზოგადოების საძირკველი შერყეულია. მთელი ქვეყნიერების მუშებს შეერთებული ძალებით შეუძლიათ კაპიტალის ბატონობისაგან განთავისუფლება. მოკავშირეთა ჯარის ამხანაგო ჯარისკაცნო, მიიღეთ რევოლუციონურ რუსეთის და ცენტრალურ ევროპის მუშების გამოწვდილი ხელი. შეაკავშირეთ ძალები ჩვენი კლასის თავისუფლების დასაცავად. ძირს ომი. გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლუციას. რუსეთის სოციალისტურ რესპუბლიკის საგარეო საქმეთა კომისარი ჩიჩერინი.

## ომი

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო

### დასავლეთის ასპარეზი

**ბერლინი.** სამხედრო ცნობა. ბრანდერბურგის სათადარიგო პოლკმა № 207 პოლკ. ხენიგსის წინამძღოლობით და საქსონიის 192 დივიზიის ჯარმა პოლკოვნიკ მეზენკის ხელმძღვანელობით თავი ისახელა მუაზის აღმოსავლეთით, სადაც ამერიკელების ძლიერი იერიში მოიგერია.

# საქართველოს პარლამენტში

**8 გიორგობისთვის სხდომა.**

სხდომა იხსნება საღამოს 8 საათზედ. თავმჯდომარეობს ნიკ. ჩხეიძე.

**სომხების პროვოკაცია.**

### სპირიდონ კედიას სიტყვა

საქართველოს პარლამენტის წევრნო! დღეს პირველი შემთხვევაა რომ საქართველოს პოლიტიკურ წრეებში სომხების საკითხი დაისვა. თუმც ქართულ საზოგადოებრივ აზრს იმ თავითვე უნდა მიექცია ჯეროვანი ყურადღება ამ საკითხისათვის, ყოველ-მხრივად შეესწავლა იგი, მოეხდინა ცივი ანალიზი მოვლენათა განვითარებისა და მოეძებნა მიზეზები მისი საქართველოში წარმოშობისა.

თუმცა გვმართებდა დიდი ყურადღება ამ საკითხისადმი, მაგრამ დღემდე იგი გამორკვეული არ არის და არც ჩვენი პოლიტიკის მესვეურნი იჩენენ მისდამი დიდს ინტერესს.

ეს დიდი ნაკლია და დიდი შეცდომაა.

თქვენ გაიგონებდით მთავრობის თავმჯდომარის გაოცებას: რა მოხდა ამ 5 დღეშიო?

მე ის კი არ მაკვირვებს თუ რამ გამოიწვია ამ 5 დღეში სომხების გამოსვლა; მე უფრო ის მაკვირვებს თუ რატომ აქამდე არ მოხდა იგი?

ის რაც ამ 5 დღის განმავლობაში ხდება, ლოღიკური დასკვნაა იმ მუშაობისა, რომელსაც სომხები მრავალი წლის განმავლობაში აწარმოებდნენ.

თუ ეს გამოსვლა გუშინ არ მოხდა, დღეს იქნებოდა; თუ დღეს არ მოხდებოდა, ხვალ, უთუოდ იჩენდა თავს.

სომხების მოძრაობაში არის ძირითადი ძალა, რომელიც ამოძრავებს მთელს ერს; და ამ ძირითად ძალას, რომელშაც დასძრა მთელი ერი, აქამდე არავინ აქცევდა ყურადღებას!

და დღეს, როდესაც მათი გამოსვლა უკვე მომხდარი ფაქტია, აუცილებელია მოვლენებს შევხედოთ გარეშე ყოველივე სენტიმენტებისა.

აქ ორატორები ხაზს უსვამდენ რომ „დაშნაკცუტუნის“ პარტიასთან, რომელიც ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებს არის არა მთელი სომხის ერის, არამედ ორი სამი პირი, რომელნიც დაშორებულნი არიან ხალხისაგან და მას კი მეთაურობენ.

ეს შეხედულება სრულიად შემცდარია.

ჩვენ საქმე გვაქვს არა ამა თუ იმ პირებთან, არამედ საქმე გვაქვს ეროვნულ იდეასთან, რომელიც შედუღებულია ხალხის პსიხოლოგიაში და ამოძრავებს მას.

და როდესაც ეს ეროვნული იდეა მოიწევა წინ და ცდილობს რომ საქართველოს მოსახლეობიდგან შექმნას მტკიცე და კომპაქტური ტერიტორია, ჩვენ სათანადო ანგარიში უნდა გაუწიოთ მას.

ეს იდეა შექმნილია არა შემთხვევით მოვლენებით, არამედ ისტორიული მუშაობით და მე გეკითხებით თქვენ: როდესაც ეს იდეა სძრავს მთელს ერს, ნუთუ ჩვენ უნდა მოვიხაროთ ქედი მის წინაშე?

რა გინდ ვიყოთ ჩვენ წინააღმდეგნი სისხლის ღვრისა, თუ იგი დაგვეჯახება, არ შეგვიძლია წინააღმდეგობა არ გაუწიოთ მთელის ჩვენის ძალითა და ენერგიით.

როდესაც ოსმალეთი ჩვენთან ომს აწარმოებდა და მან ჩვენი საზღვრები გადმოლახა, განა ჩვენ, რომელთაც ომი შესაძლოა სრულებით არ გვსურდა, მის წინააღმდეგ არ დავიძრით.

და თვით ნოე ჟორდანია არ იყო, რომ პატრონტაშით და თოფით მხარზედ ბრძოლის ველისკენ რომ გაეშურა?

რა გინდ მოყვარული არ ვიყოთ მშვიდობიანი ცხოვრებისა და ერთა შორის სოლიდარობისა, ჩვენ იძულებულნი ვართ თავი დავიცვათ და ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ დავერიდებით.

როდესაც ერი თავის ფარგალში მოინდომებს გაშლას, მაშინ ვერავინ შეაჩერებს მის წინსვლას, თუ არა ისეთივე მოწინააღმდეგე ენერგია.

და როდესაც ეროვნულ იდეით ამოძრავებული ერი ჩვენსკენ მოიწევს; ესეთივე ძალა უნდა დახვდეს მას წინ.

ყოველი მთავრობა უნდა ითვალისწინებდეს გარემოებას რომ ყოველ წუთს მზათ იყოს, თუ ვინმე თავს დაესხმება.

სომხების საკითხი საქართველოში არის ისეთი საკითხი, რომელსაც ვერავინ ვერ მოიცილებს. პრესაში, თუ საგარეო გამოსვლებში ეს ერი ჩვენს წინააღმდეგ არის ამართული.

ისტორიულად სომხები საქართველოს დაპყრობის წადილში იყვნენ ძალით თუ მშვიდობიანის გზით.

ყოველ სომხის შემოსვლა ჩვენს მიწა-წყალზედ სომხურ საკითხის შექმნა იყო.

ერთის მხრით წინ წამოწევი აგრესიული განწყობილი ძალა.

მეორეს მხრით მკვიდრი ქართველი ერი.

ამ ორი ელემენტის ერთად მოთავსება შეუძლებელი გახდა, ამ ორი ელემენტის ერთმანეთთან ბრძოლას ზაფუძველი აქვს და ესე ადვილად არ შეიძლება მისი განელება.

მათი პრესსა, რომლის ასპარეზი განსაკუთრებით საქართველოა, სავსებით ჩვენს წინააღმდეგ არის განწყობილი და დაუფარავად, აშკარად ეწევა საქართველოს საწინააღმდეგო აგიტაციას.

ის ფაქტი, რომ ხიდი ჩაანგრიეს, ის ფაქტი რომ, საომარი ძალა დაგვიპირდაპირეს, ის ფაქტი რომ, თბილისში მუდმივ შიშია მათი გამოსვლების გამო, მეტყველებს, იმას, რომ მათთან მეგობრული განწყობილების დამყარება არც ისე ადვილი საქმეა.

საქართველოს მთავრობის მოვალეობაა უვნებელი გადარჩენა საქართველოსი სომხის ერისაგან, რომელიც „დაშნაკცუტუნის“ მიერ არის ამოძრავებული.

დღეს თქვენი ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ სომხობა არ წარმოადგენს კომპაქტურ მასსას და იგი მოთავსებულია რამოდენიმე სახელმწიფოში და ყველგან მისი მოქმედება მიმართულია იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, სადაც ისინი მოსახლეობენ.

სომხეთის საკითხი მეტად რთულია და იმ ეროვნულ ბრძოლაში, რომელსაც ისინი აწარმოებენ, ან ერთი მხარე უნდა იყოს დამთმობი, ან მეორე. საქართველოს, რომელსაც მათთვის სიკეთის მეტი არაფერი გაუკეთებია, ისინი ესოდენ უმადურათ უხდიან!

როდესაც წარსულ სხდომაზედ შინაგან საქმეთა მინისტრმა სთქვა, რომ თბილისის გუბერნია უდავო ნაწილია საქართველოსი, მას მთელი პარლამენტი კმაყოფილებით შეხვდა და ბ-ნ მინისტრის სიტყვა ყველა ფრაქციების მიერ მოწონებულ იქმნა.

სომხეთმა ერთხელ და სამუდამოდ ხელი უნდა აიღოს თავის პრეტენზიებზე და სანამ იგი ხელს არ აიღებს, მისი საკითხი გადაუჭრელი დარჩება, ხოლო ჩვენ მზათ უნდა ვიყოთ, როგორც ხიდების აფეთქებისთვის, ასე თბილისში დიდი ამბოხებისათვის (ტაში).

და სანამ სომხეთის მთავრობა ხელს არ აიღებს თავის წადილზედ, ჩვენი მორიდებაც ტყუილად იქნება.

თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, თუ სომხებმა რა გასაჭირი გამოიარეს. თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ ოსმალეთის სომხეთი აღარ არსებობს, დღეს ეს ადგილები სრულებით ცარიელია.

ჩვენ დაინტერესებულნი ვართ, რომ სომხეთი აღსდგეს ოსმალეთში და მისი ტერიტორია შეივსოს იმ ხალხით, რომელნიც აქ იყო გადმოსახლებული.

აი რა მხრით უნდა შეხედონ საგანს სომხების ხელმძღვანელებმა და შეეცადონ ამ მიზნის მიღწევას.

ხოლო თუ სომხები ისევ აქ დარჩებიან, მაშინ ჩვენ მოვითხოვთ, რომ მათ ხელი აიღონ იმ პოლიტიკაზედ რომელსაც ეხლა აწარმოებენ.

მათი საქართველოში უვნებლობა ეს ჩვენი სიმტკიცის საქმეა და და მუდმივი სიფრთხილე გვმართებს მოქმედებაში.

სომხების საკითხი გახდა ჩვენი არსებობის საკითხათ და ეს ერთნაირ საგარეო საკითხადაც გადაიქცა.

მთავრობას შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ ამ საკითხში, საქართველოს დაცვის საქმეში, მასთან იქნება მთელი საქართველო.

ამ უკანასკნელ ხანებში საჭირო გახდა განსაკუთრებული ზომების მიღება. აფეთქებენ ხიდებს, უცხო პრესსა აღვირახსნილ აგიტაციას ეწევა ჩვენს წინააღმდეგ; ამიერ კავკასიის მასშტაბში მომქმედ ორგანიზაციები გაზეთები პირდაპირ დასცინიან ჩვენს დამოუკიდებლობას და ესეთს მდგომარეობაში ყველაზედ ნაკლებად გვმართებს სენტიმენტები, აქ ამბობენ, თითქოს სომხის დემოკრატია არ იზიარებდეს იმ პოლიტიკას, რომელსაც პარტია „დაშნაკცუტუნი“ აწარმოებს ჩვენს წინააღმდეგ, ესეთი იმედებით შეუძლებელია ჩვენი სახელმწიფოს გამაგრება და გაძლიერება.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ [illegible] მენტში ამოწურული იქმნას [illegible] ზომები, რაიც კი მთავრობას მოუფიქრება და ამ საქმეში მე ვიმეორებ მასთან იქნება ყოველი ქართველი, რადგან უფრო ძვირფასი თავის ქვეყნის სუვერენობაისა მას არაფერი მოეპოვება.

(ხანგრძლივი ტაში).

### რ. გაბაშვილი (დ. ნ.-ე)

მთავრობის თავმჯდომარემ გაკვირვება გამოსთქვა: რა მოხდა ამ 5 დღის განმავლობაში, რომ სომხების ესეთი გამოსვლა გამოიწვიაო.

მე ის კი არ მაკვირვებს, თუ ამ 5 დღის განმავლობაში რათ გამოვიდენ, მე უფრო ის მაკვირვებს, რატომ აქამდე არ გამოვიდენ (ტაში).

რაც დავიბადე, მე მხოლოდ ის მახსოვს, რომ სომხები ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებენ.

ჩვენ რომ ერთის თვის წინათ გვეთქვა ის, რასაც დღეს სოციალ-დემოკრატები ამბობენ, უთუოდ კონტრ-რევოლიუციონერებს და კაცი-ჭამია შოვინისტებს დაგვიძახებდნენ.

დღეს მაინც უნდა დარწმუნდეთ, რომ ისინი ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებენ.

ბ-ნებო! ირაკლი წერეთლის მეოხებით ჩვენ მათ 80 მილიონი მივეცით და მე, დარწმუნებული ვარ, რომ ამ ფულიდან უმეტესი ნაწილი ჩვენს საწინააღმდეგო მოქმედებას მოახმარეს.

ჩვენ მუდამ და მაშინაც, ვამტკიცებდით, რომ დაშნაკციუტუნი ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებდა. ამ პარტიამ მოაწყო აჯანყება აჭარაში; ამ პარტიამ მოაწყო აჯანყება ბელი-კლუჩში და მრავალ სხვა ადგილას და როდესაც ჩვენ ამას ვამხელდით, გვიპასუხებდენ, რომ სომხების დემოკრატია აქ არაფერ შუაშიაო.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ეხლაც მოვიდენ და შემოგვფიცონ ერთგულება, თქვენ ეხლაც დაუჯერებთ მას.

ეს არის თქვენი **„ТОНЬКАЯ ПОЛИТИКА“**, მაგრამ იცოდეთ, რომ იგი იმდენად **„тонькая“** არის, რომ როდისმე გაწყდება.

წარსულ სხდომაზე, როდესაც სომხების თავდასხმაზე იყო ლაპარაკი, ბ-ნმა რამიშვილმა მტკიცედ განაცხადა, რომ მთავრობა სასტიკ ზომებს მიიღებს სომხების წინააღმდეგ, მაგრამ ეს განცხადება სიტყვად დარჩა და დღეს უკვე მეორეს აქვს ადგილი. მე ვაცხადებ, რომ ჩვენი საზღვრები დღესაც არ არის დაცული!

სომხების მოქმედება ჰგავს ჩინელების საქციელს, რომელნიც ნიღაბს გაიკეთებენ და ხალხს აფრთხობენ.

**ალ. ლომთათიძე** (ადგილიდან): შეგეშინდათ განა?

**რ. გაბაშვილი:** მე რომ სოციალისტი ვყოფილიყავი, უთუოდ, შემეშინდებოდა, მაგრამ ისინი მხოლოდ თქვენ გაშინებენ.

მთავრობის თავმჯდომარე აქ დოკუმენტებით კი არ უნდა გამოდიოდეს, უნდა დაიჭიროს დამნაშავენი და დახვრიტოს ისინი.

თქვენ რომ პოლიტიკის რამე გესმოდეთ საქართველოში მომქმედ დაშნაქცაკანებს დაიჭერდით და იმ დემოკრატიას გაუგზავნიდით სომხეთში, რომლის ესე დიდი იმედი გაქვთ. (ტაში).

მთავრობამ სასტიკი ზომები უნდა მიიღოს ყველა მოღალატის წინააღმდეგ და ესეთს მოქმედებაში ჩვენ მასთან ვიქნებოდით და თუ საჭირო იქნება მასთან დავიხოცებით. (ტაში).

### ნ. თარხანოვი (სომ. ს.-რ).

აღნიშნავს რომ, ლიტერატურული ეთიკის დაკნინება საერთო სენია ჩვენის პრესსისა და ამ მხრივ ისეთი და-

---

ლია, ის არ უნდა გამოვიყვანოთ, რომ რაკი ქართველებსა და სომხებს შორის ბრძოლა და წინააღმდეგობაა, საჭიროა ხელში წვეტიანი შუბები დავიჭიროთ, ცხვირში სადგისები გავიყაროთ და ერთი მეორეს დავერიოთ ავსტრალიელ კაცის მჭამელებივით:

ქართველ-სომეხთა ანტაგონიზმს ზოგიერთი პუბლიცისტი სომხური ბურჟუაზიისა და ქართველი მემამულეების წინააღმდეგობით ხსნის. ასეთი ახსნა ყალბი და ტენდენციურია. ეს ანტაგონიზმი ბევრად უფრო ძველია, ვიდრე თანამედროვე საზოგადოებრივი კლასები. ერთი ქართველი სასულიერო მწერალი, სტეფანე მტბევარი, რომელიც მეათე საუკუნეში სცხოვრობდა ასე ახასიათებს ჩვენს მეზობლებს: „მიწა იგი სომხეთისა ამპარტავან, უწყალო, უყუარულ და ყოვლითა უკეთურებითა სავსე, რომელსა შინა არა იპოვა თავისი მოსადრეკელი ქრისტესი, რომელთათვის ქრისტე ცუდათ მოკვდა“. თუ პლ. იოსელიანს დავუჯერებთ არც მეთვრამეტე საუკუნის ქართველებს ჰქონიათ სოლიდარობის გრძნობა სომხობასთან. გიორგი XII თურმე ხშირად ამბობდა: „ადვილად გამცემი ქვეყნისა სომეხი ერთს გროშზე გაჰყიდის მეფესა და მეფობასა. აქა ან სხვათაცა ქვეყანაში არა აქვს-რა შესატკივარი გულისა, არც კოშკი მამაპაპათა, არცა ციხე, არცა ხმალი წინაპართა, არც დროშა, არც მატური მეფეთა. დღესაც მოსაცდუნებლად სპარსთა და თურქთა, სადაცა არიან გაბნეულნი მათნი ჭრომელნივე, მარადის მოვისყიდით ჯაშუშად სომეხთა უნებურთა და თვით სპარსნი და თურქნი მოისყიდიან ჩემთა სომეხთა. ასეა მათი ბუნება. დიდად მავნეა ჩემის სამეფოსათვის თესლი ესე გაბნეული და მოშორებული ჩვენგან სარწმუნოებითა, ენითა, ზნეობითა და უცხოთა ნათესაობითა. ვითარცა ვაჭარნი საჭირონი არიან, ქვეყნისა მცხოვრებნი დიდათ საშიშნი და მოსარიდებელნი: არა მეომარნი, მხდალნი და მაყურებელნი საწუთროისა, სადა და ოდეს დაედევნენ და ვისა მიემხრონ: ოსმალსა და ყიზილბაშსა“.

თავის მხრით არც სომხის მწერლები რჩებოდნენ ვალში ჩვენი წინაპრების წინაშე: ისინი ქართველებს ახასიათებდნენ როგორც „ბარბაროსებს“, „სომხების მაიმუნებს“ და სხვა.

ზემოთ მოყვანილ სიტყვებში უეჭველია ბევრი რამ გადაჭარბებულია მაგრამ ისინი ამტკიცებენ რომ ქართველ სომეხთა ქიშპობა გუშინდელი დღის ამბავი არ არის და მას ბევრად უფრო ღრმა საფუძველი აქვს ვიდრე თავადაზნაურობის და ბურჟუაზიის წინააღმდეგობაა. როგორც სჩანს ძველი მწერლები უფრო ზნეობრივ დაწკულტურულ მომეტს აქცევდნენ ყურადღებას, დღეს მეტი მნიშვნელობა ეკონომიურ და პოლიტიკურს საკითხებს აქვს. ამიტომ ქართველ-სომეხთა ურთიერთობამ სახე იცვალა, მაგრამ არსებითად იგივე დარჩა, რაც საუკუნეთა განმავლობაში იყო. დღეს სომხები ბევრ რამეს გვედავებიან. უწინარეს ყოვლისა ტერიტორიას, რომელიც თითქო უპატრონოა, შემდეგ მცხოვრებთა ერთს ნაწილს, რომელსაც თითქო მეტრიკა დაჰკარგვია და ზოგჯერ პოლიტიკურ იდეალებსაც. რასაკვირველია, ეს დავა აიხსნება არა რაღაც თანდაყოლილი ქინიანობით ან ბოროტებით, არამედ სომხის ერის მდგომარეობით. სომხობა იმ ხალხთა რიცხვში შედის, რომელნიც მოკლებულნი არიან მთლიან ტერიტორიას. ასეთი ხალხის მდგომარეობა კი დიდს საფრთხეს წარმოადგენს მეზობლებისათვის. ტერიტორია ის ძალაა, რომელიც ეროვნებას აკავშირებს და გარკვეულ სახეს აძლევს. ამ ძალის უქონლობა ერმა უსათუოდ როგორმე უნდა აინაზღაუროს: წინააღმდეგ შემთხვევაში გადაგვარება და გაქრობა მოელის. ამით აიხსნება რომ სომხობა ასე ებღაუჭება რელიგიურ მომენტს. ეს უკანასკნელი თითქო ტერიტორიის ერთგვარს სანაზღაუროს წარმოადგენს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ რელიგიის მნიშვნელობა თანდათან სუსტდება დროთა მიმდინარეობაში. ამიტომ საჭირო ხდება მისი შეკავშირება სხვა რომელიმე უფრო გავლენიან ძალასთან. ამას სომხობაც გრძნობს. მათი ეკლესია პოლიტიკური და ეკონომიური ბრძოლის ორგანიზაცია ხდება.

სომხის პუბლიცისტები ხშირად გვარწმუნებენ რომ სომხობას მაღალი კულტურა შემოაქვს საქართველოში. ბოლოს ისე გამოდის რომ თითქო მიწადმოქმედებაც მათგან გვისწავლია. სინამდვილეში ეს ერი სანახევროდ ექსტერიტორიულ და იერარქიულ ნიადაგზე სდგას; ეს კი იმას ნიშნავს რომ ის ჯერ კიდევ თავისუფალი არ არის საშუალო საუკუნოების ნაშთებისაგან. მაგრამ სომხობა მარტო ეკლესიაში როდი ეძებს დაკარგული ეროვნული ტერიტორიის სანაზღაუროს. თანამედროვე ერი მონასტრის კედლებში ვეღარ მოთავსდება, რა რიგ ფართოც არ უნდა იყოს ეს კედლები. გაშლილი ასპარეზია საჭირო ეკონომიური ცხოვრების ასამოძრავებლად. სომხობა ობიექტიური პირობების მიერ იძულებულია უცხო მიწაწყალი ჩაიგდოს ხელში სადაც კი ეს შესაძლებელია. მისი ტალღა ბუნებრივად იქით მიისწრაფვის, საიდანაც ნაკლები წინააღმდეგობა ხვდება. საქართველოს მხრით წინააღმდეგობა მეტისმეტად სუსტი იყო წარსულ საუკუნეებში. თემურლენგების, შაჰაბაზების და აღამახმადხანების შემოსევამ გაანიავა ქართველობის ენერგია და ფართოდ კარები გაუღო უცხო ელემენტებს. მაგრამ უდიდესი ნაწილი ჩვენი ტერიტორიისა, ჯავახეთი და აღმოსავლეთი სამცხე სომხობამ მეცხრამეტე საუკუნეში დაიპყრო. რასაკვირველია ამ ერს ვერავინ უსაყვედურებს რატომ დაასახლე და მიისაკუთრე გავერანებული ადგილებიო. მაგრამ მეორე მხრით ვერც სომხები გვისაყვედურებენ თუ ჩვენ კულტურული, ეკონომიური და პოლიტიკური საქმიანობის შემწეობით შევეცდებით დაკარგული პოზიციების უკან დაბრუნებას.

როგორც მოვაჭრე ელემენტი სომხობა ყოველთვის განსაკუთრებით ქალაქებში იყო ძლიერი. იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი მოწმობს რომ მეჩვიდმეტე საუკუნეში დასავლეთ საქართველოს აღებმიცემობაც კი თითქმის სავსებით სომხების ხელში ყოფილა. სხვა სარწმუნო ცნობების მიხედვით ქუთაისი მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში სანახევროდ სომხური ქალაქი ყოფილა. ეს გარემოება მეტის მეტად საყურადღებოა. ცნობილია რომ დღეს უცხო ელემენტი თითქმის სრულიად განდევნილია დასავლეთ საქართველოდან.

ის რაც იმერეთში თითქმის შეუმჩნევლად და უმტკივნეულოდ მოხდა, ამერეთში მწვავე ტკივილებს იწვევს დღეს. ქართველი ერი ბიოლოგიურად ძალოვან რასათა რიცხვს ეკუთვნის: დიდის სისწრაფით მრავლდება დუხჭირ ეკონომიურ პირობებშიაც. ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება კიდევ უფრო გაშლის ამ ბიოლოგიურ ენერგიას. მოსალოდნელია, რომ გაძლიერებულ და გათვითცნობიერებულ ქართულ დემოკრატიას ბუნებრივად ტერიტორიული გაფართოების მოთხოვნილება დაებადება. ქართველი ხალხი დღესაც ძლივს ეტევა ვიწროდ შემოფარგლულს მიწა წყალზე. მეორე მხრით აღმოსავლეთ საქართველოში დღითი დღე იზრდება სომეხთა რიცხვი. ასეთ პირობებში აუცილებელია შეურიგებელ წინააღმდეგობათა წარმოშობა. ირლანდიის და ულსტერის მაგალითმა ნათლად დაგვანახვა რა დიდს საფრთხეს წარმოადგენს ერის პოლიტიკური იდეალებისთვის ჩამოთესლილი და მოუნელებელი ელემენტები. სომხები ჩვენი ორანჟისტები არიან, რომელნიც ვერასოდეს ვერ შეურიგდებიან საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას. ეს ადამიანურად გასაგები და მისატევებელია: ჩვენს ტერიტორიაზე რამოდენიმე ასი ათასი სომეხი სცხოვრობს, რომელიც ადვილად გაითქვიფება და გადახალისდება ქართველ ხალხში, თუ აქ ამ უკანასკნელის ნებისყოფა გაბატონდა. ასეთ დანაკლისს პატარა ერი ადვილად ვერ აიტანს. მაგრამ ადამიანური გასაგებია ისიც რომ თავის მხრით არც ქართველობას შეუძლიან ხელი აიღოს დიდი პოლიტიკური მიზნების განხორციელებაზე.

ასეთ შემთხვევაში დათმობით არაფერი გაკეთდება. საერთოდ დათმობის პოლიტიკა ყველაზე ბეცი პოლიტიკაა. ცხოვრების კონფლიქტების გადასაწყვეტად უწინარეს ყოვლისა ძალთა მოკრეფაა და შეჯიბრებაა საჭირო. ეს ნათლად დაგვანახვა თბილისის თვითმართველობის უკანასკნელმა არჩევნებმა, რომლის დროს ბევრს ლაპარაკობდნენ დათმობას და შეთანხმებაზე. ერთმა ქართველმა პუბლიცისტმა სამართლიანობის სახელით ხმოსანთა ადგილების თანასწორი განაწილებაც კი მოითხოვა ქართველებსა, სომხებსა და რუსებს შორის. ბოლოს საკითხი მაინც რეალურ ძალთა შეტაკებამ გადასჭრა: თვითეულ ეროვნებას მიეგო არა სამართლიანობისა, არამედ დინამიური ენერგიის მიხედვით.

უეჭველია, რომ ქართველ-სომეხთა მეტოქეობაც სოციალური დინამიკის საკითხია და საბოლოოდ რეალურ ძალთა შეტაკებით გადასწყდება.

**გერონტი ქიქოძე.**

15 მაისი 1916 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საძრახისია გაზეთი „ორიზონი", როგორც გაზეთი „ბორბა" ან და „ერთობა". თუ სოციალ-დემოკრატები დღეს დაშნაქცაკანების წინააღმდეგ ესე სასტიკად გამოდიან, მათ უნდა იცოდნენ, რომ ისინი მხოლოდ სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგნი არიან. განა „ერთობა" არა სწერდა! რომ სომხები განზრახ მალავენ ავადმყოფ ლტოლვილთ, რომ გადამდები სენი ქართველთა შორისაც შეიტანონ. გაზეთი „ორიზონი" დღეს იმავე ბრალდებას აბრუნებს და საქართველოს მთავრობას ამტყუნებს ლტოლვილთა გაჟლეტაში. მთავრობა მოვალეა ლტოლვილთა საკითხს მეტი ყურადღება მიაქციოს და მხოლოდ ამით მოუსპობს საშუალებას დაშნაქცაკანს, რომ ლტოლვილთა საკითხი დაშნაქცაკანურ საკითხათ გადააქციოს.

## ტერ-ავეტისიანი (დაშნ)

მოქალაქენო, პარლამენტის წევრნო, აგერ თვენახევარია, რაც ჩვენ თქვენთან ერთად ვმუშაობთ საქართველოს პარლამენტში და ერთხელაც არ მოუწვევივართ მთავრობას იმ თათბირებზე, რომელნიც ფრაქციათა წარმომადგენლებთან ერთად ხდება.

ჩვენთვის ეს შეკითხვა სრულიად მოულოდნელი იყო და მე ვეთანხმები ჩემს ამხანაგს ბარხუდაროვს, რომ ამ დიდათ მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა სხვა დროისთვის გადაედოთ.

მოქალაქე გომართელი გვამტყუნებს ჩვენ, რომ უნებლიედ ვთქვით, რომ „თქვენი" მთავრობაო. ბ-ნებო! ეს აიხსნება მხოლოდ იმით, რომ ჯერ სავსებით ვერ შევითვისეთ ახალი მდგომარეობა. როგორც დაშნაკცუტუნის პარტიის წევრმა, მე კატეგორიულად პროტესტი უნდა განვაცხადო იმ დეპუტატთა მიმართ, რომელნიც მას ავანტიურულ პოლიტიკის წარმოებას აბრალებენ. ეს რომ მართალი იყოს, სომხის ერი დიდი ხანია გვერდს შეაქცევდა მას, მაგრამ ეს ესე არ არის და სომხის დემოკრატია მხოლოდ ამ პარტიის დროშის ქვეშ არის დარაზმული და იგი სავსებით გამოხატავს ამ დემოკრატიის ნების ყოფას. მე პროტესტს ვაცხადებ იმ პირთა სიტყვების შესახებაც, რომელნიც ჩვენს პარტიას ძეგვის ხიდის აფეთქებაშიაც სდებენ ბრალს. „დაშნაკცუტუნის" პარტიის საქართველოში მომქმედ ცენტრალურ კომიტეტის მთავარ ორგანოში „აშხატავორ" არასოდეს არ ყოფილა ცხარე გამოსვლები საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ. საქართველოში მომქმედ „დაშნაკცაკანების" დამოკიდებულება საქართველოს მთავრობისადმი სავსებით გამოიხატა იმ რეზოლიუციებში, რომელნიც განსაკუთრებულმა დელეგაციამ ჩემთან ერთად წარუდგინა მთავრობის თავმჯდომარეს.

მაგრამ საქართველოს მთავრობას ხშირად დუმილით გაუვლია ლტოლვილთა საკითხი და ეს გარემოებაა რომ იჭვს ბადებს სომეხთა შორის. გაუგებრობას ბადებს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მთავრობა ნებას არა რთავს ლტოლვილთ დროებით საქართველოს ტერიტორიის სხვა და სხვა კუთხეებში მოთავსდენ.

მე აქ უნდა განვაცხადო, რომ საქართველოში მომქმედ პარტიათა შორის არ არის არც ერთი ჯგუფი, რომელსაც სურდეს, რომ ეს ლტოლვილნი საქართველოში დამკვიდრდნენ და ამიტომ, ყოველი შიში ქართველი ნაციონალისტების მხრით, სრულიად ზედმეტია.

რაც შეეხება ლტოლვილთა მდგომარეობას, მე ვაღიარებ, რომ მათი მდგომარეობა საოცარია. მართალია თვით სომხეთში მათი მდგომარეობა გაცილებით უარესია და იქ ლტოლვილნი პირდაპირ ბალახით იკვებებიან, მაგრამ საქართველო გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფება ვიდრე სომხეთი და მისგან ჩვენ მეტი ყურადღება შეგვიძლია მოვითხოვოთ და ჩვენ არ შეგვიძლია პირში წყალი დავიგუბოთ, როცა ეს ლტოლვილები ათასობით იხოცებიან.

**ხმები ადგილებიდან:** საქართველო რა შუაშია?

**ავეტისიანი:** მე არ ვამტყუნებ მარტო საქართველოს; ესევე ვამტყუნებთ ჩვენ სომხის საზოგადოებას, რომელიც საოცარ გულგრილობას იჩენს თავის დატანჯულ ძმებისადმი; განა ამ სომხის საზოგადოებამ, ჩემი თავიდგანაც რომ დავიწყოთ, განა რამე მოიმოქმედა რომ ის ბავშვები მაინც გადაერჩინათ, თბილისის ქუჩებში რომ იხოცებიან? დასასრულ მე არ შემიძლია საყვედური არ გამოვუცხადო მთავრობას იმ უნდობლობისადმი რომლითაც იგი სომხებს ეკიდება. მე მხოლოდ დღეს შემატყობინეს ქართველი ჯარის ნაწილები სადგურ შულავერს გარშემო მოერტყნენ და მცხოვრებლებს მოთხოვნილება წარუდგინეს, რომ თოფები და ტყვიისმფრქვეველნი ჩააბარონ.

**ხმები ადგილებიდან:** მათ აქვთ ეს იარაღი!

**ავეტისიანი:** მე არ ვიცი რითია გამოწვეული ესეთი ზომა, მაგრამ მე ვიცი რომ ასეთი ზომები ჰქმნიან იმ გაუგებრობას, რომელნიც შუღლსა და უთანხმოებას ბადებს ერთა შორის. (ტაში სომხების სკამებზედ).

## ნოე ჟორდანიას პასუხი

მე მინდა რამოდენიმე შენიშვნა მოგახსენოთ იმ სიტყვის გამო, რომელიც აქ მოქალაქე ავეტისიანმა წარმოსთქვა.

მან სთქვა, რომ მთავრობა „დაშნაკცუტუნის" ფრაქციას არ იწვევდა საფრაქციოთაშორისო თითბირზედო. ამ შემთხვევაში არავირარი თათბირი არ ყოფილა გამართული და მაშასადამე, ვერც მის ფრაქციას მოვიწვევდით. მთავრობისათვის ყველა ფრაქციები თანაბარია და იგი არავითარ გამონაკლის არ ახდენს მათში.

რაც შეეხება საქართველოში მცხოვრებ დაშნაკცაკანების რეზოლუციებს მოქალაქე ავეტისიანმა, მართალია მე წარმომიდგინა და მგონია სავსებით დაკმაყოფილებულნი იყვნენ და ამისთვის უაღრესად გამაკვირვა გაზეთ „ორიზონის" გამოსვლამ, რადგან ამ გაზეთის წერილებს არაფერი საერთო არა აქვთ ამ რეზოლიუციებთან. მაგრამ, შემდეგში გავიგე, რომ გაზეთი „ორიზონი" „დაშნაკცუტუნის" პარტიის აღმოსავლეთის ბიუროს ორგანო ყოფილა და მაშასადამე წარმოადგენს არა საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრებთა ინტერესებს, არამედ სრულებით სხვა სახელმწიფოსას.

მე დარწმუნებული ვარ რომ, საქართველოში მცხოვრებს სომხის დემოკრატიას ქართველ დემოკრატიასთან ძმური დამოკიდებულება სურთ დაამყარონ, მაგრამ მას ხელს უშლიან ის მეთაურები, რომელთაც საქართველოშიც იმის ჩადენა სურთ, რასაც ყველა სხვა ქვეყნებში ჩადიოდენ. ბ-ნი ავეტისიანცი ამბობდა დღეს დილით, რომ ოსმალებმა განუცხადეს ლტოლვილთა საქმის მომწყობ კომისიას, რომ მათ არასფერი საწინააღმდეგო არა აქვთ ლტოლვილთა სამშობლოში დაბრუნებისაო.

ჩვენ არ დაგვიჯერეს და ოსმალებს დაუჯერეს; სჩანს ჩვენ მათი მტრები ვყოფილვართ და ოსმალონი კი მეგობრები!

ლტოლვილებმაც უთუოდ წაიკითხეს გაზეთი „ორიზონი" და გადავიდენ საზღვარზედ, მაგრამ ეს არის მე მივიღე დეპეშა ღენერალ მაყაშვილისაგან, რომ საზღვარზედ გადასულ ლტოლვილებს, ოსმალებმა საარტილერიო სროლა აუტეხეს, რომელიც ეხლაც გრძელდებაო.

მე მგონია, რომ ეხლა მაინც გაიგებთ თუ ვისი პოლიტიკა იყო უფრო მართალი?

(ხანგრძლივი ტაში ყველა სკამებზედ).

## ირ. წერეთლის სიტყვა.

**ირ. წერეთელი,** მოქალაქენო! დღეს ჩვენ აქ მოვისმინეთ ის ძირითადი საკითხი, რომლის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული მთელი ჩვენი ქვეყნის ბედიღბალი. ამიტომ ჩვენმა ფრაქციამ პირდაპირ, დაუფარავად დასვა ეს საკითხი. საქმე ასე იყო. დაშნაკელთა ორგანოებში გაიმართა ისეთი ცილისწამება და პროვოკაცია, რომლის შედეგი, თუ კი მიაღწია შედეგს ამ ალვირ წახსნილმა პროვოკაციამ, იქნება სომხის რესპუბლიკის საზღვრებში ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ ხალხის ამხედრება—სწორედ ამის შესახებ შეეკითხა ჩვენი ფრაქცია მთავრობას, იცის თუ არა ეს და თუ იცის რი ზომებს ღებულობს. ყველაზე ცუდი ის არის, როცა მოწინააღმდეგეს ხმალს მოუქნევ, მოწინააღმდეგე არ დაგხვდება და მხოლოდ ჰაერს გააპობ, აქ გამოვიდნენ დაშნაკელები და განაცხადეს, რომ თვითონ ამ აგიტაციაში მონაწილეობას არ ღებულობენ, მაგრამ არ განუცხადებიათ ის, თუ როგორ უყურებენ ამ აგიტაციას და დაუჭერენ თუ არა მხარს ამ პროვოკაცია-აგიტაციასთან ბრძოლაში მთავრობას, მაგრამ ეს უკანასკნელი ჩვენთვის ცხადია. მხოლოდ უკეთესი იქნებოდა. რომ მათ ბოლომდის ეთქვათ. აქ ბ. კედიამ ნამდვილ პარლამენტარულ ფორმებში და სხვებმა კი ჩვეულებრივი ლათაიებათ აღნიშნეს სომხის ხალხის ინტერესები, რომ ეს ინტერესები შეურიგებელია ქართველ ხალხის ინტერესებთან და სხვა, მაგრამ ბოლომდე არც ერთს არ უთქვამს. მე შევეცდები ბოლომდე დავასურათო როგორც სომხის, ისე ჩვენი ნაციონალისტების ინტერესები. ფერდინანდ ლასალმა ერთი დიდი პოლიტიკური მცნება წამოაყენა, რომელიც არა მხოლოდ ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ, არამედ — მთელმა მეცნიერებამ გაიზიარა და ჭეშმარიტებად აღიარა, ეს არის: დიდი პოლიტიკური საქმე, ნახევრად გაკეთებულია მაშინ, როცა წარმოთქმულია ის, რაც არის. და მე მსურს ვსთქვა, რაც არის. სომხის ეროვნული იდეის, რომელზედაც აქ კედია მოგვითხრობდა, განხორციელდება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მან დაანგრია ქართველი ხალხი. ამიტომ ჩვენ გვესმის მიზანი იმ ხალხის, რომელნიც აქ მუშაობენ და რომელთაც ჰსურთ გამოიწვიონ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში ანარქია და ძმათა შორის სისხლის-ღვრა. ახლა მეორე მხარეს მინდა შევეხო. ორატორი ახასიათებს ქართველ ნაციონალისტების მისწრაფებებს, ააშკარავებს მათ ზრახვებს და ამბობს, რომ მათი პოლიტიკა ერთია ორ საწინააღმდეგო მიზნისკენ მიმართული, ერთ პრინციპზე აშენებული. მე ამ ტრიბუნიდან ვაცხადებ საქართველოს დემოკრატიის სახელით, რომ ჩვენ ორივე პოლიტიკას სასტიკათ შევებრძოლებით, ჩვენ ვიცით, რომ თუ კი სისხლის ღვრა გაიმართა, მაშინ ორივე ერი დამარცხებული გამოვა, რადგანაც ბოლო არ მოეღება ამ შუღლს და მტრობას. და ყოველთვის მოსალოდნელი იქნება სისხლის ღვრა. არა მგონია, რომ ვინმემ ეროვნული მიკერძოება დამწამოს, მე ქართველი ნაციონალ-დემოკრატები ისე მეჯავრება, როგორც სომხის. ჩვენ ენერგიულათ შევებრძოლეთ წინეთ ნაციონალ დემოკრატების მისწრაფებებს და ეხლაც სასტიკად შევებრძოლებით სომხის ნაციონალისტების ასეთ ზრახვებს. ჩვენ ვებრძვით ყოველივე ძალას, რომელსაც მიჰყავს ოძისთვის, რომ თავისი ანუ მეზობელი ხალხი დაანგრიოს, მაგრამ აქ ანგარიშში ტყუვდებიან. ევროპიული ძალა იცნობს დემოკრატიულ რესპუბლიკას და მის დასანგრევად ის არ გაილაშქრებს. (ტაში).

ბ. ნაციონალ დემოკრატები გვეუბნებიან, რომ ჩვენ ვიმეორებთ დაშნაკელებზე იმას, რასაც ისინი ამბობდენ და სხვა. ეს მართალი არ არის. ჩვენ გამოგვაქვს პროვოკაცია სააშკაროზე, ვამხელთ მათ განზრახვებს და არამც და არამც ფართე მასას არ ვახვევთ ამ საზიზღრობას თავზე. ჩვენ რომ ასეთს პოლიტიკას არ ვაწარმოებდეთ, მაშინ არ შეგვეძლებოდა გვეთქვა საერთაშორისო ინტერნაციონალის წინაშე, რომ ჩვენში მიუხედავათ იმისა, რომ ეროვნული შუღლი არსებობს, ჩვენის მეცადინეობით ერთი წვეთი სისხლიც არ დაღვრილა (ტაში) თქვენ ბ-ნო ნაც.-დემოკრატებო! თუმც, რასაკვირველია ისინიც ძლიერ ხოცავენ, მაგრამ დემოკრატიაზე ისინი ვერ გაიმარჯვებენ. (ხანგრძლივი ტაში მარცხენა სკამებზედ)

**მიკირტუმოვი.** (ს. დ.) აცხადებს, რომ სომხის ხალხი საშინლად გმობს პროვოკაციას და სურს ქართველ ხალხთან ძმურად მეგობრულად ყოფნა. დემოკრატია ეტრფის მშვიდობიან ცხოვრებას, მას მის მოძმე დემოკრატიასთან გასაყოფი არაფერი არა აქვს.

**ა ფარნიევი.** (ს. დ.) თავის სიტყვაში ააშკარავებს დაშნაკელების პოლიტიკას, ეხება მათ ზრახვებს და მისწრაფებებს და ამბობს, რომ დემოკრატია იმდენათ ძლიერია. რომ კაცისმია ნაციონალიზმს არ აყვება და მშვიდობიან ცხოვრებას არ დაარღვევსო.

## ფორმულა გარდასვლისა კამათის შემდეგ

პარლამენტმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა შეკითხვა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისა შესახებ თბილისის ზოგიერთ სომხურ გაზეთებში გაჩაღებულ აგიტაციისა და მთავრობის განმარტება ამ შეკითხვაზე, პარლამენტი აღნიშნავს, რომ ასეთი სრულიად ყალბ ცნობებზე დაყრდნობილი აგიტაცია მიზნათ ისახავს სასიკვდილო ლახვარი ჩასცეს საქართველოს დამოუკიდებლობას და მის დემოკრატიულ წყობილებას, სრულს იმედს გამოსთქვამს, რომ მთავრობა ჯეროვან ყურადღებით მოეკიდება ამ საფრთხეს და მთელი თავისი ძალღონით შეებრძოლება იმათ, ვინც ორ მოძმე ერთა შორის სისხლის ღვრის გამომწვევ პოლიტიკას აწარმოებს; სრულს ნდობას უცხადებს მთავრობას, აღუთქვამს მას თავის დახმარებას და გადადის მორიგ საკითხზე.

ამასთანავე იმ საშინელი ჭორებისა და ცილის წამების გასაფანტავად, რომელსაც ავრცელებენ საქართველოს მცხოვრებთა ფართო მასაში ამა საქმის გარშემო სიმართლის აღსადგენად, პარლამენტი ადგენს: მთავრობის თავმჯდომარის მიერ ზემოხსენებულ შეკითხვის საპასუხოდ წარმოთქმული დასაბუთებული განმარტებანი დაუყოვნებლივ დაიბეჭდოს ქართულ, სომხურ, რუსულ და თათრულ ენებზე და გაკრულ იქნას თბილისსა და საქართველოს დანარჩენ ქალაქებსა დ დაბასოფლებში."

## უცხოეთის ამბები

**სტეკლოვის სიტყვა.**

**მოსკოვი.** ც. ა. კ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი. 8 გიორგობისთვის სხდომა. სტეკლოვის სიტყვა: „როცა რუსეთის მუშა-კლასმა სოციალისტურ რევოლიუციის ინიციატივა იკისრა, მან იცოდა, რომ იწყებს საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციას. ახლა აშკარათ ხორციელდება ყველა იმპერიალისტთა შეთქმულება რომელსაც ჩვენ დიდი ხანია ველოდით. ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენ მიერ ბრძოლით შოპოვებული უფლებები ფართოვდება. მთელი ქვეყნის მუშათა შორის მოძრაობა ფართო ხასიათს ღებულობს. ბალკანეთზე სოციალისტურ რევოლიუციის ცეცხლია, ავსტრია-უნგრეთი დაქუცმაცდა, უნაყოფოა გერმანიის მოღალატე სოციალისტთა ცდა გადაარჩინონ ბურჟუაზიული გერმანია, ყველგან საბჭოთა მთავრობას მოითხოვენ. თუ გონიათ, რომ გამარჯვებულ ინგლისს-საფრანგეთში სოციალისტური მოძრაობა სუსტია, ეს მხოლოდ დროებით შეცდომაა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენ ქუჩაზედაც იქნება დღესასწაული".

**ფოსტა-ტელეგრაფის კონვენცია**

საქართველოს მთავრობის საპასუხოდ სომხეთის მთავრობამ სურვილი გამოსთქვა ფოსტა-ტელეგრაფის კონვენციის შეკვრაზე და ამ საკითხზე მოლაპარაკება საქართველოს დაწესებულებებთან მიანდო სომხეთის ფოსტა-ტელეგრაფის მმართველობის უფროსს ნ. ა. ბუინოვსკის.

**ახალი კაბინეთი სომხეთის რესპუბლიკაში**

ამ დღეებში სომხეთის რესპუბლიკაში შესდგა ახალი კაბინეთი შემდეგი შემადგენლობით: მინისტრ-პრეზიდენტი უპორტფელოთ რ. კაჩაზნუნი (დაშნ.), შინაგან საქმეთა მინისტრი ა. მანუკიანი (დაშნ.), საგ. საქ. მინისტრი ს. ვ. ტიგრანიანი (დაშნ.), საგარ. საქ. მინისტრის ამხანაგი გ. მელიქ-კარაგოზოვი (სომხ. სახალ. პარ.), ფინანსების მინისტრი ა. ა. ენფიაჯიანცი (სომხ. სახალ. პარ.), სამხედრო მინისტრი გენ. ახვერდოვი (უპარტ.), იუსტიციის მინისტრი ს. ს. არუთინოვი (სომხ. სახალ. პარტ.), სახალხო განათლების მინისტრი მ. ნ. ათაბეგოვი (უპარტ.), სახალხო მზრუნველობის მინისტრი ს. კარჩიკიანი (დაშნ.), სურსათის მინისტრი ლ. ი. გულიევი (ს. პ.) და სახელმწიფო კანტროლად გ. ი. ბერბერიანი (სახ. პარ.).

## თეატრი და მუსიკა

**ქართული მუსიკალური საზ-ბა.** შაბათს 23 გიორგობისთვეს, კონსერვატორიის დარბაზში იმართება მეორე კონცერტი ბენედიცკის (როიალი), ჩერეპნინი, ზალიპსკის (სიმღერა) და ქართულ მუსიკალურ სასწავლებლის კვარტეტის მონაწილეობით.

**პ. ამირაგოს ჩამოსვლა.** თბილისში ჩამოვიდა ბაქოელი ანტრეპრენიორი პ. ამირაგო.

რედაქტორი **გირონტი ქიქოძე.**


## განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოდ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობის გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირათ:

**თბილისიდან გადის**

| | | | საათი | წ. |
|---|---|---|---|---|
| ფოთისკენ | № 23 | | 7 | 50 |
| „ | № 3 | ღამის | 10 | 30 |
| ქუთაისისკენ | № 9/10 | საღამ. | 7 | 17 |
| განჯისკენ | № 4 | ღამის | 11 | 10 |
| „ | № 8 | დღის | 3 | 35 |
| სანაინისკენ | № 4/30 | დღის | 1 | — |

**თბილისში მოვა**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფოთიდან | № 24 | შუად. | 12 | 47 |
| „ | № 4 | საღამ. | 6 | 54 |
| ქუთაისიდან | № 11/12 | დილის | 6 | 53 |
| განჯიდან | № 3 | საღამ. | 4 | 30 |
| „ | № 7 | დღის | 8 | 30 |
| სანაინიდან | № 40/3 | დილის | 11 | — |

თბილისის დროით.

## კერძო სამკურნალო

ექ. ა. დ. ალექსიძის

მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები:

**გ. მ. რეკვავა**—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9 11 ს.

**მ. მ. ტყემალაძე**—კანის და ვენერიულ. სიფილ. (ს. 606—914 ... ლიხ) 11—12 ს.

**ი. ა. ლაზარევი**—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

**ნ. თ. ანდრონიკაშვილი**—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

**ა. დ. ალექსიძე**—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

**მ. ნ. იშხნელი**—[illegible] თა ავადმყოფობანი 4—6 ს.

**ს. გ. ჯაფარიძე**—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

**ი. ა. ხათრიძე**—ბაქტერიოლოგი სამკურნალოს ლაბორატორიისა, სადაც შეიძლება ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვ.), ელექტრიზაცია, მასსაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა, № 6, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—83.

სამკურნალოს დირექტორი ექიმი **ა. დ. ალექსიძე.**

კვირას, გიორგობისთვის 17-ს გამოვა

ახალგაზრდა ეროვნულ დემოკრატების

ორ-კვირეული ჟურნალი

### „ახალი ძალა"

ფასი ორი მანეთი

ჰრედაქტორობს კოლეგია

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა

ალ. ასათიანის ნაწერი

### მიწის საკითხი საქართველოში

წინასწრი დაკვეთა შეიძლება „საქართველოს" რედაქციაში. (10—10)

ექიმი

### ნიკ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია

**მისამართი:** მოსკოვის ქ. № 11.

ზემელის აფთიაქის მახლობლად.

თ.—1536—50

მედიცინის დოქტორი

ბერლინის უნივერსიტეტისა

### გ. გ. მეგრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ქალ. ქუთაისში

მიხეილის ქუჩ. წითელ ხიდთან გაიხსნა

ქირ. და ქალთა სნეულების

### სააავთმყოფო

სამშობიარო განყოფილებ.

მწოლარე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს.

15—1739—11

გაიხსნა

### თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

### ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო"-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

ტელეფონი 5—97.

სამკურნალო კაბინეთი ექიმის

ალექსანდრე დავითის ძის

### კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

ექიმი

### გ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის" ახლოს.

მარტის 20 გაიხსნა ახალი

### სამკურნალო

[illegible] ავადმყოფთათვის

ექიმ ი. მ. მძინარიშვილის და დ. ი. ნაზარბეგიანცის

საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის („კიროჩნი" ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

**ვენერიულ** ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

**ღარიბები მიიღებიან კვირაობით,** 10—12-მდე უფასოდ.

დოქტორი მედიცინისა

[illegible]

### ...ალანდარიშვილი

უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.